

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის

გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

(MICM)



პროექტი

თანამედროვე მათემატიკური და კომპიუტერული
მოდელების აგება, ანალიზი და რეალიზაცია

2023 – 2027

1.1 პროექტის დასახელება: მათემატიკური და კომპიუტერული მოდელების აგება, ანალიზი და რეალიზაცია

1.2 პროექტის ხელმძღვანელები:

- ჰამლეტ მელაძე. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ტელეფონი: 599574456;
ელ.ფოსტა: h.meladze@gtu.ge
- ვახტანგ კვარაცხელია. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ტელეფონი: 555129750;
ელ.ფოსტა: v.kvaratskhelia@gtu.ge

1.3 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
ვებ-გვერდი - <http://micm.edu.ge/>

1.4 პროექტის ხანგრძლივობა – 5 წელი

შინაარსი

1.5. პროექტის მოკლე შინაარსი.....	5
მიმართულება 1. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება	6
მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება.....	7
მიმართულება 3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები ფუნდამენტურ და გამოყენებით ამოცანებში	10
მიმართულება 4. დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურების მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია.....	11
1.6. არსებული აღჭურვილობა და დანადგარები	12
1.7. პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური დარგები.....	13
1.8. პროექტის სავარაუდო ღირებულება.....	14
2. პროექტის აღწერილობა	15
2.1. შესავალი	15
მიმართულება 1. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება	15
მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება.....	22
მიმართულება 3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები ფუნდამენტურ და გამოყენებით ამოცანებში	30
მიმართულება 4. დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურების მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია.....	38
2.2. ლიტერატურული მონაცემები	41
მიმართულება 1.	41
მიმართულება 2	45
მიმართულება 3.	47
მიმართულება 4	51
2.3 პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება.....	53
მიმართულება 1	53
მიმართულება 2	54
მიმართულება 3	56

მიმართულება 4	58
3.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები ეტაპების ჩვენებით და მოსალოდნელი შედეგები სათანადო ინდიკატორებით	58
3.1.1 ამოცანების ჩამონათვალი პერიოდების მითითებით	58
მიმართულება 1	58
მიმართულება 2	60
მიმართულება 3	63
მიმართულება 4	66
3.1.2 პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები/ თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით	70
მიმართულება 1	70
მიმართულება 2	72
მიმართულება 3	76
მიმართულება 4	80
3.2 პროექტში ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა, აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი სადისერტაციო ნაშრომების მომზადება და სხვა.....	85
4. საგრანტო პროექტები	85
4.1. ჰორიზონტი ევროპას (HORIZON EUROPE) საგრანტო პროექტი 2022 – 2025.....	85
4.2. სხვა საგრანტო პროექტები.....	86
4.2.1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტები	86
4.2.2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები.....	87
5. დამატებითი ინფორმაცია	87
5.1. სასწავლო პროცესში ჩართულობა	87
5.2. საერთაშორისო კავშირები	88
5.3. სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება.....	88
6. ინსტიტუტის თანამშრომლები.....	90

1.5. პროექტის მოკლე შინაარსი

წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავს თეორიული და გამოყენებითი დანიშნულების ამოცანების მათემატიკურ და კომპიუტერულ კვლევას, სათანადო გამოთვლითი მეთოდების და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავებასა და დანერგვას. პროექტში წარმოდგენილია როგორც ინსტიტუტისთვის ტრადიციული მიმართულებები, ასევე თანამედროვე, ახალი ამოცანები.

პროექტი ხუთწლიანია. მისი შედეგებისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ინსტიტუტისა და, საზოგადოდ, ქვეყნის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჩვენს ქვეყანაში მძლავრი გამოთვლითი რესურსის შექმნასთან დაკავშირებული მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელება ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე დაიწყო 2022 წელს, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით RIM-2-21-132, შეძენილი იქნა მაღალი წარმადობის ჰეტეროგენული სერვერი (იხ. პუნქტი 1.6). აღნიშნული სერვერი, მისი მომავალი კომპიუტერული გაძლიერების პერსპექტივით, შესაძლებლობას მოგვცემს დავსვათ და მათემატიკური მეთოდებით გადავწყვიტოთ ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, დავუთმოთ დიდი გამოთვლითი რესურსები მეცნიერების წინაშე მდგარ თანამედროვე ამოცანებს, ავითვისოთ და განვავითაროთ თანამედროვე ტექნოლოგიები, განვახორციელოთ საგანმანათლებლო პროგრამები.

პროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა მეცნიერების კვლევებით დაინტერესებას და მეცნიერებაში მოზიდვას.

პროექტში დაგეგმილია კვლევები შემდეგი 4 მიმართულებით:

მიმართულება 1. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება;

მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება;

მიმართულება 3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები ფუნდამენტურ და გამოყენებით ამოცანებში;

მიმართულება 4. დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურების მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ პროექტით დასახულ ამოცანებს მიმართულებების მიხედვით.

მიმართულება 1. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება

ამ მიმართულებით დაგეგმილია 4 ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 1.1. დირიხლეს კლასიკური და განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების რიცხვითი ამოხსნა ერთი ან რამდენიმე ჩაკეტილი ზედაპირის მქონე არეების შემთხვევაში ალბათური ამოხსნის მეთოდით.

ამოცანაში 1.1 ნაწარუდევია დირიხლეს ზოგიერთი სივრცითი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანის კორექტულობის და მათი რიცხვითი ამოხსნის საკითხის შესწავლა ერთი ან რამდენიმე ჩაკეტილი ზედაპირით შემოსაზღვრული სასრული და უსასრულო არეების შემთხვევაში. განზოგადებული ამოცანის ქვეშ იგულისხმება შემთხვევა, როცა სასაზღვრო ფუნქციას აქვს პირველი გვარის წყვეტის წირების სასრული რაოდენობა. ასევე, ინტერესის და კვლევის საგანს წარმოადგენს უფრო ზოგადი ელიფსური ტიპის განტოლებებისათვის დირიხლეს სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის შესაძლებლობა ალბათური მეთოდით.

ამოცანა 1.2. კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის სქემები და მათი გამოყენებები საინჟინრო მექანიკის ზოგიერთი ამოცანის რიცხვით ამოხსნაში.

ამოცანაში 1.2 განხილული იქნება კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის სქემების აგებისა და მათი გამოყენების საკითხები, როგორც დრეკადობის თეორიის, ასევე სხვადასხვა დრეკადი სხეულების დეფორმაციისას წარმოქმნილი ბზარების ამოცანების რიცხვითი ამოხსნისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაგეგმილ კვლევებში დაეთმობა მააპროქსიმირებელი ოპერატორების ინდივიდუალურ შესწავლას. გაგრძელდება რიცხვითი ალგორითმების დამუშავება ერთმანეთში ჩადგმული მახლობელრადიუსიანი ცილინდრული სხეულების საკონტაქტო ამოცანებისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც სხეულებს ზედაპირებზე გააჩნიათ ბზარის გავრცელების მიდამოები.

ამოცანა 1.3. ბრუნვითი გარსების გათვლებთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლა და ამოხსნა.

ამოცანაში 1.3 დაგეგმილია გარსებისა და მშენებლობაში მათ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესწავლა. მშენებლობის მრავალ სფეროში ფართოდ გამოიყენება კომპოზიტური მასალები. სამშენებლო ობიექტების ასაგებად ხშირად გამოიყენება თხელკედლიანი კონსტრუქციები, რომლებიც დამზადებულია კომპოზიტური(ფენოვანი) მასალებისაგან. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს მდგრადი და მსუბუქი კონსტრუქციების აგების აუცილებლობას. ასეთი კონსტრუქციების ასაგებად ფართოდ გამოიყენება კომპოზიტური (ფენოვანი) მასალები. თხელკედლიანი კონსტრუქციებს ხშირ შემთხვევაში აქვთ ფენოვანი ბრუნვითი გარსის, კერძოდ, ცილინდრული, კონუსური, სფერული ან ელიფსოიდალური ფორმა.

მშენებლობის სფეროში კომპოზიტური მასალების გამოყენებამ, საკმარისად აქტუალური გახადა ფენოვანი გარსების დეფორმაციების შესწავლასთან და საინჟინრო გათვლებთან დაკავშირებული პრობლემები. კვლევის საგანს წარმოადგენს აღნიშნული სახის ფენოვანი

გარსების დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის შესწავლის საკითხი. კვლევის სიახლეა აღნიშნული კლასის ამოცანების შესწავლა გარსთა წრფივი და არაწრფივი დაზუსტებული თეორიების საფუძველზე აგებული ალგორითმების და სათანადო რიცხვითი მეთოდის შერჩევის მეშვეობით.

ამოცანა 1.4. სტოქასტური მოდელები რთული ტექნიკური სისტემების სტრუქტურულ მართვაში

ამოცანა 1.4 შეეხება ტერიტორიულად განაწილებული ქსელების სტრუქტურული მართვის მათემატიკურ მოდელირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ტექნიკური თვალსაზრისით, აღნიშნული ქსელების ქვეშ იგულისხმება კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო სისტემები, გაზისა და ნავთობის მილსადენები, თავდაცვისა და ტრანსპორტის სისტემები და ა.შ. ხოლო მათი სტრუქტურული მართვა საჭიროა ქსელში წარმოქმნილი სხვადასხვა ფიზიკური ხარვეზის თავიდან ასაცილებლად. აქედან ნათელია, რომ დასმულ ამოცანას გააჩნია საკმარისად მაღალი პრაქტიკული ღირებულება და მნიშვნელოვანია მათემატიკური მეთოდების დამუშავება ამოცანაში განხილული პრობლემატიკის კვალიფიციური გადაწყვეტისთვის. დარგის წამყვანი ექსპერტების ვარაუდით, ერთ-ერთ ეფექტურ მიდგომას ამ მიმართულებით წარმოადგენს რამდენიმე ათეული სათანადო მოდელის შექმნა და გამოკვლევა.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული ტექნიკური სისტემების მართვის როგორც ახალი სტოქასტური მოდელების აგება, ასევე თემის შემსრულებელთა მიერ უკვე აგებული მოდელების საფუძვლიანი გამოკვლევა და ანალიზი.

მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება

2018 – 2022 წლების პროექტის ფარგლებში მათემატიკური მოდელირების განყოფილებაში კვლევები ძირითადად მიმდინარეობდა არაწრფივი და არაკორექტული ამოცანების მოდელირების, ოპერაციათა კვლევის, მთელრიცხვა ოპტიმიზაციის, შესაბამისი ამოცანების ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავების მიმართულებებით. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდა და გამოსაქვეყნებლად მიღებულია 9 სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთდა 20-ზე მეტი მოხსენება. ამ მიმართულებებით კვლევების გაგრძელება იგეგმება 2023 – 2027 წლებში იმ ახალი ამოცანების ირგვლივ, რაც წარმოიშვა წინა პროექტით გათვალისწინებულ პრობლემებზე მუშაობის პროცესში. დაგეგმილია როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი ამოცანების განხილვა.

ამ მიმართულებით გათვალისწინებულია შემდეგი 4 ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 2.1. მიკროეკონომიკის დეტერმინირებულ და ნაწილობრივ განუზღვრელობის შემცველ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და მათი რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. ამოცანის დასმა უწყვეტ თამაშთა სხვადასხვა კლასებისათვის,
2. უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის საკითხები,
3. მთელრიცხვთა ოპტიმიზაციის მიმართულებით კვლევები გაგრძელდება მთელრიცხვა დაპროგრამების ზოგიერთი ფართო პრაქტიკული გამოყენების მქონე ამოცანისათვის ოპტიმალური ამოხსნის პოვნის ალგორითმების დამუშავებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით.

ამოცანა 2.2. სასრული ორბიტების ჰილბერტის სივრცესა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში პირველი გვარის განტოლების მიახლოებითი ამოხსნა. სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები არაკორექტული ამოცანების საშუალოდ დასმის შემთხვევისათვის

ჰილბერტის სივრცეებს შორის მოქმედი სინგულარული დაშლის მქონე ოპერატორისათვის განხილული იქნება პირველი გვარის არაკორექტული $Au = f$ სახის განტოლება. სამიგბელია ამ განტოლების განზოგადებული ამოხსნა ტიხონოვ-ფილიპსის აზრით. ამ მიზნით მოხდება განტოლების გადატანა სასრული ორბიტების ჰილბერტის სივრცეში და აგრეთვე, ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში, სადაც შებრუნებული ოპერატორი უწყვეტი ხდება. მარჯვენა მხარეზე მოცემული არაადაპტური ინფორმაციისათვის შესწავლილი იქნება სპლაინური ალგორითმის კონსტრუირებისა და აგებული მიახლოებითი ამონახსნების ჩვენს მიერ აგებულ სივრცეებში განზოგადებული ამოხსნისაკენ კრებადობის საკითხი.

კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის აგებული იქნა უმარტივესი წრფივი სპლაინური ალგორითმები ჩვენს მიერ შემოტანილი სასრული ორბიტებისა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში უარესი დასმის ამოცანის შემთხვევაში რადონის ოპერატორის შებრუნებულის გამოსათვლელად. ასეთი დასმის შემთხვევაში ვერ მოხერხდა ოპტიმალური და ცენტრალური ალგორითმების აგება. საშუალო დასმის შემთხვევაში ვახანას, ტრაუბისა და ვერშულცის შრომებში დამტკიცდა ამოხსნის ოპერატორის შემოსაზღვრულობა გაუსის ზომის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აგებული იქნას ოპტიმალური ალგორითმი. რადონის ოპერატორი გაუსის ზომით შესწავლილი იქნა ჰოლმისა და სენგუპტას მიერ, ხოლო საშუალო დასმის შემთხვევაში ოპტიმალური ალგორითმის აგების ამოცანა შესწავლილი იქნა ვახანას და ტარიელაძის ნაშრომში. კვლევის მიზანია აიგოს ცენტრალური ალგორითმი რადონის ოპერატორის შებრუნებისათვის საშუალო დასმის შემთხვევაში. მოხდება ε -სირთულის გამოთვლა კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის სასრული ორბიტებისა და ყველა ორბიტების სივრცეში აგებული სპლაინური ალგორითმების მიხედვით. აგებული ცენტრალური ალგორითმების მიხედვით მოხდება გამოთვლითი პროცესების კომპიუტერული პროგრამის შექმნა, მათი გაპარალელელება და რიცხვითი რეალიზაცია.

არაკორექტული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისათვის სპლაინურ და ცენტრალურ ალგორითმებს აქამდე ვიკვლევდით უარესი დასმის შემთხვევისათვის. არაკორექტული ამოცანებისათვის წრფივი უარესი დასმის ამოცანა ნებისმიერი არაადაპტური შემთხვევისათვის ამოხსნადია მხოლოდ შემოსაზღვრული ოპერატორებისათვის. რაც შეეხება საშუალოდ დასმის შემთხვევას, ის ყოველთვის ამოხსნადია, თუ საშუალოდ დასმის ამოცანის განსაზღვრაში შემავალი ზომა არის გაუსის. ეს გარემოება განსაზღვრავს ინტერესს საშუალო დასმის აზრით განხილული ამოცანებისადმი. ჩვენი ძირითადი მიზანი დაკავშირებულია არაკორექტული ამოცანებისათვის საშუალოდ დასმის აზრით ოპტიმალური, სპლაინური და ცენტრალური ალგორითმების აგებასთან.

ამოცანა 2.3. ორბიტალური კვანტური მექანიკის აგება. ორბიტალური ოპერატორების გამოყენება ევოლუციური განტოლებების შესასწავლად

გაგრძელება კვლევები ორ, სამ და მრავალ განზომილებიანი კვანტური ოსცილატორისა და შრედინგერის განტოლებების კვლევის მიმართულებით. აგებული იქნება წრფივი, სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები აღნიშნული განტოლებების მიახლოებითი გამოთვლებისათვის სასრული ორბიტების ჰილბერტისა და ყველა ორბიტების ფრეშ-ჰილბერტის სივრცეებში. დაგეგმილია მრავალგანზომილებიან ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის შესაბამისი ორბიტალური ოპერატორების შემცველი განტოლებისათვის ცენტრალური სპლაინური ალგორითმების აგება სასრული ორბიტების ჰილბერტისა და ყველა ორბიტების ოპერატორის ფრეშ-ჰილბერტის სივრცეებში. ორბიტალურ სივრცეებში ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის ოპერატორის გამოყენებით შესწავლილი იქნება კვანტური მექანიკის ევოლუციური განტოლება.

ამოცანა 2.4. ჩვეულებრივი ან კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებით ან განტოლებათა სისტემებით წარმოდგენილი ზოგიერთი მათემატიკური მოდელის კვლევა

ამ მიმართულებით გათვალისწინებულია შემდეგი ქვეამოცანების განხილვა:

2.4.1. პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ზოგიერთი კლასისათვის;

2.4.2. ძელის რხევისა და დიფუზიის მოდელის შესაბამისი ამოცანების ამოხსნის მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა.

ქვეამოცანა 2.4.1-ში კვლევის ძირითადი საგანი მეორე რიგის შერეული ტიპის კვაზიწრფივი განტოლებებისათვის სხვადასხვა ამოცანის (საწყისი, მახასიათებელი, დარბუს, კოშის შებრუნებული) კორექტულად დასმა და შესწავლაა. კერძოდ, ამოცანათა გლობალური და ლოკალური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხების კვლევა, ამონახსნების თვისებებისა და განსაზღვრის არეების შესწავლა, შესაბამისი დისკრეტული ანალოგების განხილვა, ამოხსნის მეთოდების დაფუძნება, კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარება მოდელური ამოცანებისთვის.

ქვეამოცანა 2.4.2-ში განხილული იქნება ძელის რხევის ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) მათემატიკური მოდელი. იგეგმება ამოცანის ამოხსნის მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა. აგრეთვე, იგეგმება პროექციული (რიტცის ან გალიორკინის) და სხვაობიანი მეთოდების (ცხადი ან არაცხადი მათ შორის კრანკ-

ნიკოლსონის ტიპის სიმეტრიულ სქემები) გამოყენება. დისკრეტიზირების შედეგად, მიღებულ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება იტერაციული (პიკარის, ნიუტონის, სტეფენსონის ან სხვა) მეთოდები. აგებული ალგორითმების ეფექტურობის შემოწმება იგეგმება ტესტურ მაგალითებზე. ასევე დაგეგმილია ალან-კანის (Allen-Cahn) დიფუზიის განტოლებისთვის რიცხვითი ალგორითმის შემუშავება და შესწავლა.

მიმართულება 3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები ფუნდამენტურ და გამოყენებით ამოცანებში

2018 – 2022 წლების პროექტის ფარგლებში, ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში ერთერთ მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებას წარმოადგენდა მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, მათი გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიის ამოცანების ალგორითმიზაციაში, სტატისტიკასა და დიდ მონაცემთა ანალიზში. ამ მიმართულებით მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდა და მიღებულია გამოსაქვეყნებლად 8 სტატია, მოხსენებები გაკეთდა 20-დე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. პასუხი გაეცა მრავალ კითხვას, თუმცა, გაჩნდა ახალი კითხვები, დაისვა ახალი ამოცანები. ამდენად, წინამდებარე 2023 – 2027 წლების პროექტში ჩვენ კვლავ ვგეგმავთ კვლევების გაგრძელებას ამ მიმართულებით. შევისწავლით როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით ამოცანებს.

ალბათური განაწილებების შესწავლა ალგებრულ სტრუქტურებში ყოველთვის წარმოადგენდა კვლევის ძირითად მიმართულებას ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში. წინა საანგარიშო წელს შესწავლილი იქნა გარკვეული ტიპის დიდ რიცხვთა კანონი ბანახის სივრცეებში $l_p, 1 \leq p < \infty$. დაისვა ახალი ამოცანები. კერძოდ, საინტერესოდ მიგვაჩნია შედეგის გავრცელება სასრული კოტიპის მქონე უპირობო ბაზისიან სივრცეებში. წარმოდგენილ პროექტში ვგეგმავთ კვლევას ამ მიმართულებითაც. ყურადღება დაეთმობა სუბგაუსის ზომების დახასიათების ამოცანას ბანახის სივრცეებში.

წინამდებარე პროექტში დაგეგმილია მონოგრაფიებზე მუშაობაც.

განყოფილების სავიზიტო ბარათია მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1985 წელს და რომლის ავტორები არიან ნ. ვახანია, ვ. ტარიელაძე და ს. ჩოხანიანი. ბოლო ორი ავტორი გეგმავს მონოგრაფიის 1987 წლის ინგლისური გამოცემის ახალ, შესწორებულ, გადამუშავებულ და განვრცობილ გამოცემაზე მუშაობას. განყოფილების გამგე ვ. ტარიელაძე, ესპანელ თანაავტორებთან ერთად გეგმავს მონოგრაფიაზე „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“ მუშაობის დამთავრებას.

მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება მანქანური სწავლების ამოცანებზე, რაც განპირობებულია მათი აქტუალობით, ამ დარგში ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების წამყვანი როლით და ჩვენი მეთოდების წარმატებული გამოყენების პერსპექტივით, და, რაც მთავარია, ინსტიტუტის მიერ 2022 წელს მოპოვებული ევროკომისიის საგარანტო პროექტით GAIN - “ხელოვნური ინტელექტის ნეთვორკინგის და თვინინგის ინიციატივა საქართველოში” (Georgian Artificial

Intelligence Networking and Twinning Initiative; call -WIDERA-2021-ACCESS-03 (Twinning), რომლის მთავარი მიზანია საქართველოში ხელოვნური ინტელექტის დარგის განვითარების-თვის კვლევითი ცენტრის შექმნა ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე (იხ. პუნქტი 4.1). უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევებში ჩართული იქნება ინსტიტუტის ყველა განყოფილება.

მიმართულება 4. დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურების მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია

ამ მიმართულებით დაგეგმილია შემდეგი ამოცანების კვლევა:

ამოცანა 4.1. მარკოვის ტიპის დინამიური სისტემების მდგომარეობათა აგრერირება

ამოცანით გათვალისწინებულია მარკოვის ტიპის სისტემების ფუნქციონირებასთან ასოცირებული მარკოვის ჯაჭვებში ფაზური სივრცის განზომილების რედუქციის მეთოდების დამუშავება სისტემის მდგომარეობათა როგორც ზუსტი, ისე ასიმპტოტური აგრერირების საფუძველზე. ამასთან, ზუსტი და ასიმპტოტური აგრერირების ცნებები განხილულია მდგომარეობათა აგრერირების შესაძლებლობების შემზღუდავი სიმრავლის ინვარიანტობასთან კავშირში.

ამოცანა 4.2. სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების ახალი მეთოდები

გადასაჭრელი ამოცანის მიზანია ალბათობების განაწილების კანონების პარამეტრების შეფასების და მათი მნიშვნელობების შესახებ ჰიპოთეზების შემოწმების ახალი მეთოდების დამუშავება და გამოყენება. აგრეთვე, ცოდნის სხვადასხვა დარგში მიღებული დაკვირვების შედეგების სტატისტიკური დამუშავება, მათში არსებული კანონზომიერების აღმოჩენისა და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთების მიზნით. დაგეგმილია შექმნილი მეთოდების ალგორითმიზაცია, პროგრამული რეალიზაცია და პრაქტიკული მაგალითების გამოთვლა.

ამოცანა 4.3. პროგნოზირების მოდელებისგან ახალი პროგნოზირების მოდელის შექმნისა და გამოყენებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

ამოცანა ეხება მოვლენების არსებული პროგნოზირების მოდელებიდან, გამოყენებითი მონაცემების ბაზაზე, ისეთი მოდელების გამოყოფის საკითხს, რომლებიც ერთობლიობაში ბევრად უკეთეს გამართლების ალბათობას იძლევა, ვიდრე ცალკეული „კარგი“ მოდელები. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მცირე ეკონომიკური შესაძლებლობის ქვეყნებისათვის შერჩეული იქნას ბევრად ნაკლები რაოდენობის მოდელი, რომელთა თანაკვეთა უკეთეს გამართლების შედეგს იძლევა, ვიდრე არსებული ცალკეული პროგნოზირების მოდელები. დაგეგმილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

ამოცანა 4.4. მრავალბირთვიანი პროცესორის სტრუქტურული ანალიზი, საიმედოობის შეფასება და ეფექტიანობის მაჩვენებლების ოპტიმიზაცია

ამოცანის ფარგლებში, ლოგიკურ-ალბათური მეთოდების გამოყენებით, შემუშავებული იქნება მათემატიკური მოდელები და ალგორითმები, რომელთა რეალიზება საშუალებას მოგვცემს რაოდენობრივად შევაფასოთ მრავალბირთვიანი სისტემების საიმედოობა, მტყუნებისადმი მდგრადობა, სიცოცხლისუნარიანობა, მოქნილობა და სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმები. აგრეთვე დამუშავდება მრავალბირთვიანი პროცესორების ბირთვებს შორის

ფუნქციონირებას ოპტიმალური განაწილებისა და ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი მტყუნებების შემთხვევაში ფუნქციონირება ხელახალი გადანაწილების ოპტიმალური მართვის ალგორითმები.

ამოცანა 4.5. სტრატეგიული ანალიზის მხარდაჭერის საინფორმაციო პლატფორმა

ამოცანა ითვალისწინებს საინფორმაციო მხარდაჭერის პლატფორმის შემუშავებას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებისა და მანქანური სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებით. აღნიშნული პლატფორმა, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე ბიზნეს-სექტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, წარმოადგენს ინდუსტრიის ანალიზის მოდელს და აგებული იქნება არამკაფიო ლოგიკის საფუძველზე.

ამოცანა 4.6. პარალელური თვლის ალგორითმები მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი წრფივი და კვადრატული დიფერენციალური განტოლებებისათვის

ამოცანაში შესწავლილი იქნება შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ჰიპერბოლური ტიპის მუდმივკოეფიციენტებიანი განტოლებისათვის განხილული არალოკალური საკონტაქტო ამოცანის ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის დამტკიცება;
- პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლებებით აღწერილი ოპტიმალური მართვის ამოცანისთვის, გარკვეულ პირობებში, ოპტიმალურობის აუცილებელი და საკმარისი პირობების დადგენა;
- ჰიპერბოლური ტიპის ცვალებადკოეფიციენტებიანი კვადრატული განტოლებათა სისტემისათვის და ბრტყელი დრეკადობის თეორიის განტოლებებისთვის ფაქტორიზებული სხვაობიანი სქემების აგება.

1.6. არსებული აღჭურვილობა და დანადგარები

ინსტიტუტში, 2022 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით RIM-2-21-132, შეძენილი იქნა მაღალი წარმადობის ჰეტეროგენული სერვერი შემდეგი მონაცემებით:

HPE Proliant DL 385 Gen10 V2 plus Server

CPU: 1 x 64 Core 2ghz AMD EPYC (7713)

RAM: 128GB DDR4 -3200 Registered

HDD: 6 x 1.2TB SAS 10K

SSD: 2 x 480 GB SATA SAS

Nvidia Tesla A100 Computational Accelerator

CUDA Cores: 6912

Tensor Cores: 432

Internal Memory: 40 GB (HBM2e)

Performance: 9.7 TFLOPS (FP64) 19.5 TFLOPS (FP64 Tensor Core)

სერვერი გამართულია პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით. უახლოეს მომავალში, ასევე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი RIM-3-22-155), შეძენილი იქნება სერვერის შეუფერხებელი მუშაობისთვის აუცილებელი უწყვეტი კვების წყაროები, გამაგრილებელი სისტემა და სხვა კომპონენტები.

2023 წელს დაგეგმილია სერვერისთვის სივრცის მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2023 წელს, HORYZON EUROPE გრანტით GAIN (იხ. პუნქტი 4.1) დაგეგმილია სერვერის აპარატურული გაუმჯობესება (Upgrade), რაც გულისხმობს მისი სიმძლავრისა და შესაძლებლობების თითქმის ორჯერ გაზრდას.

ინსტიტუტის განკარგულებაშია აგრეთვე, შედარებით მცირე სიმძლავრის კომპიუტერული კლასტერი პარალელური დაპროგრამებისთვის და სხვა კომპიუტერული ტექნიკა.

ინსტიტუტის თანამედროვე ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ზემოხსენებული სერვერის ტექნიკურად გამართვის წარმატებით განხორციელებას.

1.7. პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური დარგები

პროექტის სამეცნიერო და ტექნოლოგიური დარგებია გამოთვლითი მეთოდები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ალბათობა და სტატისტიკა, ოპერაციათა კვლევა, მათემატიკური ეკონომიკა, ალგორითმების თეორია, მათემატიკური ფიზიკა, დრეკადობის თეორია, საინჟინრო მექანიკა, ფუნქციონალური ანალიზი და სხვა.

თანამედროვე ტექნოლოგიური დარგების დანერგვის კუთხით, 2023 და მომდევნო წლები ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუტისთვის.

როგორც აღვნიშნეთ (იხ. პუნქტი 1.6), ინსტიტუტში გამართულია მაღალი წარმადობის ჰეტეროგენული სერვერი. 2023 წელს, HORYZON EUROPE გრანტით GAIN (იხ. პუნქტი 4.1) დაგეგმილია სერვერის აპარატურული გაძლიერება, აგრეთვე სასერვერო სივრცის მოწყობა. საგრანტო პროექტი GAIN ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის კვლევების ხელშეწყობას ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. პროექტში ჩართულია სხვადასხვა სპეციალობის (ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები, მათემატიკოსები, ფსიქიატრები, ნეიროფსიქოლოგები) 20-მდე მეცნიერი, ძირითადად ახალგაზრდები, როგორც ჩვენი ინსტიტუტიდან, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

ამდენად, 2023 წლიდან, ინსტიტუტში ვგეგმავთ ისეთი თანამედროვე დარგის ინტენსიურ ათვისებას და განვითარებას, როგორიცაა მანქანური სწავლება (ღრმა სწავლება, ნეირონული ქსელები). ვგეგმავთ ამ ტექნოლოგიების შესწავლას და გამოყენებას სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა უპირველეს ყოვლისა სამედიცინო სფერო, ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, წარმოების და ბიზნესის დაგეგმვის პრობლემატიკა, და სხვა. ვგეგმავთ საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელებას.

თანამედროვე ტექნოლოგიური დარგების განვითარების კიდეც ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გლობალურ სამეცნიერო ქსელებში ჩართვა და საერთაშორისო კვლევითი კოლაბორაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში, როგორიცაა ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია და სხვა. ოპტიმისტური გათვლით, მომდევნო წლებში შესაძლებლად მიგვაჩნია ჩვენი გამოთვლითი რესურსების ზრდა, პირველ რიგში სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა ფონდების და პროექტების ხელშეწყობით. ამ შემთხვევაში, ინსტიტუტი შეძლებს მყარი სამეცნიერო კავშირის დამყარებას ისეთ კვლევით ცენტრებთან, როგორიცაა CERN, KEK, Julich და სხვა.

უნდა აღინიშნოს CERN-თან ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობა. 2016 წელს ჩატარდა საერთაშორისო ვორკშოპი (SCCTW'2016)" (იხ. პუნქტი 5.3), რომლის ორგანიზატორები იყვნენ ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია (CERN), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი <https://indico.cern.ch/event/572800/>. ინსტიტუტის მეცნიერები აქტიურად მონაწილეობდნენ 2018 წლის ვორკშოპშიც https://indico.cern.ch/event/766618/timetable/?view=standard_numbered. ჩვენი გამოთვლითი რესურსების გაზრდის შემთხვევაში შევძლებთ გარკვეული კომპიუტერული რესურსი დათმობას CERN - ის ამოცანებს, რაც თავისთავად გულისხმობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას და მათი განვითარების პროცესში აქტიურ ჩართვას.

არსებული თანამედროვე ინფრასტრუქტურით და სამეცნიერო პოტენციალით, ვფიქრობთ, ინსტიტუტი მზადაა ამ გამოწვევებისთვის.

1.8. პროექტის სავარაუდო ღირებულება

ღირებულება (ლარი)	წელი 1- 2023	წელი 2- 2024	წელი 3- 2025	წელი 4- 2026	წელი 5- 2027
ხელფასი	481620	529700	582000	640000	700000
საქონელი და მომსახურება	282350	310000	340000	370000	400000
სხვა ხარჯები	5730	6000	6500	6800	7000
არაფინანსური (კაპიტალური) ხარჯები	60000	60100	60200	60400	60500
სულ	829700	905800	988700	1077200	1167500

2. პროექტის აღწერილობა

2.1. შესავალი

(კვლევის ობიექტი, პრობლემის აქტუალობა, კვლევის სიახლე, კვლევის მეთოდოლოგია)

მიმართულება 1. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის გამოყენებითი ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება

ამ მიმართულებით წარმოდგენილ კომპლექსურ თემატიკასთან დაკავშირებული ამოცანები შესრულება გამოთვლითი მეთოდების განყოფილების ფარგლებში. თეორიულ მუშაობასა და ამოცანების პრაქტიკულ რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ განყოფილების თანამშრომლები: მ. ზაქრადე (განყოფილების გამგე), მ. კუბლაშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), რ. კაკუბავა (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), მ. მირიანაშვილი, ე. აბრამიძე, ზ. თაბაგარი (მეცნიერი თანამშრომლები), თ. სალინაძე (ასისტენტ-მკვლევარი), ნ. კობლიშვილი (პროგრამისტი). კვლევებში, აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებს ინსტიტუტის სწავლული მდივანი ზ. სანიკიძე.

ამოცანა 1.1. დირიხლეს კლასიკური და განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების რიცხვითი ამოხსნა ერთი ან რამდენიმე ჩაკეტილი ზედაპირის მქონე არეების შემთხვევაში ალბათური ამოხსნის მეთოდით

პრაქტიკაში ადგილი აქვს სტაციონარულ პროცესებს, რომელთა გამოკვლევა მიიყვანება დირიხლეს განზოგადებული ჰარმონიული ამოცანის ამოხსნაზე (იხ. მაგ., [1-4]). ეს ამოცანები მიეკუთვნება რთულ ამოცანათა კლასს ამოხსნის თვალსაზრისით. პირველ რიგში სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ კლასიკური მიახლოებითი მეთოდების პირდაპირი გამოყენება განზოგადებული ამოცანების ამოსახსნელად არ იძლევა სასურველ შედეგს სიზუსტის თვალსაზრისით. ამის მიზეზი არის მიახლოებითი პროცესის ძალიან ნელი კრებადობა წყვეტის წირის მიდამოში (იხ. მაგ., [1-3]). ერთადერთი შემთხვევა, როცა ამონახსნი მოიცემა ზუსტი სახით, არის ბრტყელი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანა წრისათვის. ამ შემთხვევაში ამონახსნი მოიცემა კარგად ცნობილი პუასონის ინტეგრალით (იხ. მაგ., [5]).

სხვა შემთხვევებში, გამოთვლითი ალგორითმების შერჩევა და კონსტრუირება ძირითადად დამოკიდებულია ამოცანის კლასზე, განზომილებაზე, არის საზღვრის გეომეტრიაზე და საზღვარზე სინგულარობათა განლაგების სტრუქტურაზე. მაგალითად, განზოგადებული ბრტყელი ჰარმონიული ამოცანები ზოგიერთი ცალადბმული არეებისათვის, წყვეტის წერტილების კონკრეტული განლაგებით, განხილულია [6]-ში, ხოლო ზოგადი შემთხვევები სასრული და უსასრულო არეებისათვის შესწავლილია [7-14]-ში.

სივრცის შემთხვევაში არ არსებობს სტანდარტული სქემა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას არეთა ფართო კლასისათვის. კლასიკურ ლიტერატურაში (იხ. [1-4]) განხილულია მხოლოდ უმარტივესი შემთხვევები, ე.წ. “ამოხსნადი ამოცანები” (ამოცანები, რომელთა “ზუსტი” ამონახსნის აგება შესაძლებელია მწკრივის სახით), რომელთა ამოხსნისათვის გამოყენებულია ცვლადთა განცალების, კერძო ამოხსნათა, და ევრისტიკული მეთოდები, რაც თავიდანვე განაპირობებს ამონახსნის დაბალ სიზუსტეს. აღნიშნულ ამოცანებში სასაზღვრო ფუნქციები ძირითადად არის მუდმივები, ხოლო ზოგად შემთხვევაში, ანალიზური სახე “ზუსტი” ამოხსნისა არის იმდენად რთული რიცხვითი რეალიზაციის თვალსაზრისით, რომ მას აქვს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა. გარდა ამისა, არ ხდება გათვალისწინება იმისა, რომ წყვეტის წირები ფიზიკური თვალსაზრისით წარმოადგენენ დიელექტრიკებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ხსენებულ გარემოებებს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გამოთვლით ალგორითმებში ადგილი არ აქვს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი თვალსაზრისით, სივრცითი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისათვის, მაღალი სიზუსტის და ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგებას, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება არეთა ფართო კლასისათვის, აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა და მიეკუთვნება **აქტუალურ პრობლემათა** რიცხვს.

პროექტით გათვალისწინებულ **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს შემდეგი სახის დირიხლეს სივრცითი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების კორექტულობის შესწავლა და მათი რიცხვითი ამოხსნისათვის მაღალი სიზუსტის და ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგება. სიმარტივისათვის, აღნიშნული სახის ამოცანას ჩამოვაყალიბებთ მხოლოდ ერთი ჩაკეტილი, უბან-უბან გლუვი S ზედაპირით შემოსაზღვრული D არისათვის:

ვთქვათ D არის S ზედაპირზე მოცემულია $g(y)$ ფუნქცია, რომელიც უწყვეტია ყველგან, გარდა სასრული რაოდენობა $l_k (k = \overline{1, n})$ წირებისა, რომლებიც $g(y)$ ფუნქციისათვის წარმოადგენენ პირველი გვარის წყვეტის წირებს. მოითხოვება პოვნა ისეთი

$$u(x) = u(x_1, x_2, x_3) \in C^2(D) \cap C(\overline{D} \setminus \bigcup_{k=1}^n l_k)$$

ფუნქციისა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$\Delta u(x) = 0, \quad x \in D, \quad (1)$$

$$u(y) = g(y), \quad y \in S, \quad y \notin l_k, \quad u(y) = 0, \quad y \in l_k \quad (k = \overline{1, 2, \dots, n}), \quad (2)$$

$$|u(x)| < c, \quad y \in \overline{D}, \quad (3)$$

სადაც Δ ლაპლასის ოპერატორია, ხოლო $c \in R$.

შევნიშნოთ, რომ თუ D უსასრულო არეა, მაშინ ამოცანის ამონახსნის ერთადერთობისათვის დამატებით მოითხოვება პირობა

$$\lim_{x \rightarrow \infty} u(x) = 0, \quad (4)$$

გარდა აღნიშნულისა, ჩვენს მიზანს წარმოადგენს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და რიცხვითი რეალიზაციით მიღებული შედეგების ანალიზი.

პრობლემის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. მისი თეორიული შესწავლა კორექტულობის თვალსაზრისით;
2. პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სასაზღვრო ამოცანებისათვის ეფექტურად რეალიზებადი ისეთი გამოთვლითი ალგორითმების აგება, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება არეთა ფართო კლასისათვის.

კვლევის სიახლეს განაპირობებს დირიხლეს სივრცითი განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების კორექტულობის შესწავლა და ანალოგიური პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის მაღალი სიზუსტის და ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგება. სიახლეა ისიც, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ალგორითმები არ მოითხოვს სასაზღვრო ფუნქციის აპროქსიმაციას და არ არის დაკავშირებული რაიმე სახის სისტემის ამოხსნასთან. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ალგორითმები გამოირჩევა სიმარტივით და საკმარისად მაღალი სიზუსტით, საჭიროების შემთხვევაში სიზუსტის გაზრდა და თვლის დროის შემცირება შესაძლებელია პარალელური თვლის მეთოდის გამოყენებით. პარალელური თვლა კი თავის მხრივ მოითხოვს სათანადო გამოთვლით ტექნიკას.

კვლევის მეთოდოლოგია. პროექტში დაგეგმილი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისათვის ჩვენ მიერ შექმნილ ალგორითმებში ძირითად კომპონენტად გამოყენებული იქნება ალბათური ამოხსნის მეთოდი [15-20], რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ვინერის პროცესის კომპიუტერულ მოდელირებას. ეს უკანასკნელი სრულდება ჩვენს მიერ შექმნილი ალგორითმით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სათანადო დარგის სპეციალისტებთან ჩვენი თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის რიგი კონკრეტული ტექნიკური განზოგადებული ამოცანები ამოიხსნას მარტივად და პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით.

შემსრულებლები: მ. ზაქარაძე, ზ. თაბაგარი, ნ. კობლიშვილი

ამოცანა 1.2. კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის სქემები და მათი გამოყენებები საინჟინრო მექანიკის ზოგიერთი ამოცანის რიცხვით ამოხსნაში.

არსებული თეორიული თუ პრაქტიკული გამოკვლევები ცხადად აჩვენებენ სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციაზე დაფუძნებული გამოთვლითი სქემების გაცილებით ფართო შესაძლებლობებსა და ეფექტურობას ისეთ ცნობილ კლასიკურ მეთოდებთან შედარებით, როგორებიცაა ბადეთა, სასრულ ელემენტთა და ფრედგოლმის სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდები. ყურადსაღებია, რომ სასაზღვრო ინტეგრალური მეთოდები მნიშვნელოვნად ამცირებენ ამოსავალი ამოცანების განზომილებას, რითაც არსებითად ფართოვდება გამოყენებითი ამოცანების შესაძლებლობები სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის პრობლემების კვლევა-გამოყენების თვალსაზრისით [23, 27]. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს რეგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციის გაუსის ტიპის ფორმულების ანალოგების აგების

შესაძლებლობის შესწავლა კომის ტიპის სინგულარული ინტეგრალებისთვის, მათი სათანადო დაფუძნებით.

ცნობილია, რომ რეალურ მასალებში ყოველთვის არსებობს მიკროდეფექტები, რომელთა განვითარება, დეფორმაციის პირობებში, სხეულებში წარმოშობს ლოკალური ან სრული რღვევის საშიშროებას. ამ გარემოების გამო სხეულებში წარმოიშვება ბზარები. ბზარების (რღვევის) გავრცელების მიდამოების მქონე სხეულებთან დაკავშირებულ გათვლებში, დატვირთვების კრიტიკული მნიშვნელობის განსაზღვრის გარდა, საჭიროა გამოითვალოს ძაბვები ბზარის წვეროების მახლობლობაში, ბზარის გავრცელების მიმართულების დასადგენად [25-26]. ასეთი ამოცანები მიიყვანება კომის ტიპის სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე. როგორც ექსპერიმენტები აჩვენებს, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი უალტერნატივოა, ვინაიდან შესაბამისი გამოთვლითი სქემების აგებისათვის საკმარისია მხოლოდ წირის კვანძითი წერტილების ცოდნა, ამასთან ზუსტი განტოლების დისკრეტიზაციისას მოსალოდნელია აპროქსიმაციას დაექვემდებაროს მხოლოდ საძიებელი ამონახსნი.

სამომავლოდ განსახორციელებელ კვლევებში, ძირითად საკვლევ ობიექტს წარმოადგენს დრეკად სიბრტყეზე რღვევის გავრცელების ამოცანები. ნავარაუდევია აღნიშნული ამოცანების რიცხვითი ამოხსნების საკითხების შესწავლა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა აპარატის გამოყენებით სხვადასხვა კონფიგურაციის მქონე ბზარების შემთხვევაში.

კვლევითი სამუშაო სპექტრი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მაღალი სიზუსტის (გაუსის ტიპის) კვადრატული სქემების აგება კომის ტიპის სინგულარული ინტეგრალებისათვის (გამოყენებული იქნება [34-35] შედეგები);
- სინგულარული ინტეგრალების მაპროქსიმებელი მიახლოებითი სქემების აპრიორული დაფუძნების შესაძლებლობის განსაზღვრა მათი ინდივიდუალური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე (გამოყენებული იქნება [28-37] შედეგები);
- რიცხვითი ექსპერიმენტების განხორციელება აგებული რიცხვითი სქემების სათანადო კორექტირებისათვის ძნელად რეალიზებად კვადრატულ სტრუქტურებთან მიმართებაში (გამოყენებული იქნება [36-37] შედეგები);
- სხვადასხვა კონფიგურაციის ბზარების ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების აგება სინგულარული ინტეგრალური განტოლებების გამოყენებით (გამოყენებული იქნება [38-41] შედეგები).

კვლევების აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ დასმულ ამოცანებს არსებითი გამოყენება გააჩნიათ საინჟინრო ტექნიკაში, სახელდობრ, სხვადასხვა დეტალებისა და კონსტრუქციების გათვლებში. მაგალითად, კვლევებში განხილული ცნობილი საკონტაქტო ამოცანით აღიწერება მანქანათმშენებლობაში ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი, როგორიცაა სრიალის საკისარი [21-22, 24], რომელიც მონაწილეობს თითქმის ყველა ტიპისა და ფუნქციონალური დანიშნულების მანქანურ დანადგარებსა და მოწყობილობებში, მათ შორის ძრავებში, ტურბინებში, ტუმბოებში, კომპრესორებში და ა.შ.

კვლევის სიახლესთან და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ფარგლებში აგებული იქნება განხილული ამოცანების შესაბამისი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა რიცხვითი ამოხსნის ახალი სქემები, რომლებიც, არსებული სქემებისგან განსხვავებით, უშუალოდ სინგულარული ოპერატორის აპროქსიმაციას დაედგმნება. აღნიშნული სქემები მნიშვნელოვნად გაამარტივებს ამოცანის ამოხსნის პროცესს და იოლი გამოსაყენებელი იქნება საინჟინრო გამოთვლების თვალსაზრისით.

მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავდება რიცხვითი ალგორითმები დრეკადი სხეულების დეფორმაციის სხვადასხვა ამოცანისათვის იმ შემთხვევებში, როცა სხეულებს ზედაპირებზე გააჩნიათ სხვადასხვა კონფიგურაციის ბზარების გავრცელების მიდამოები (გამოყენებული იქნება [41-45] შედეგები).

აღნიშნული ალგორითმების გამოყენებით შეიქმნება ერთიანი პროგრამული პაკეტი ბზარებით შესუსტებული საინჟინრო დეტალებისა და კონსტრუქციების პრაქტიკული გათვლებისთვის.

შემსრულებლები: მ. კუბლაშვილი, ზ. სანიკიძე, მ. მირიანაშვილი, თ. სალინაძე.

ამოცანა 1.3. ბრუნვითი გარსების გათვლებთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლა და ამოხსნა

გარსებს, როგორც კონსტრუქციის ელემენტებს, მნიშვნელოვანი გამოყენება გააჩნიათ მშენებლობის მრავალ სფეროში. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს მდგრადი და მსუბუქი კონსტრუქციების აგების აუცილებლობას. ასეთი კონსტრუქციების ასაგებად ფართოდ გამოიყენება კომპოზიტური (ფენოვანი) მასალები. მშენებლობის სხვადასხვა სფეროში კომპოზიტური მასალების გამოყენებამ საკმარისად აქტუალური გახადა ფენოვანი გარსების დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის შესწავლის საკითხი. ხშირ შემთხვევაში, სამშენებლო კონსტრუქციებს ან მათ ელემენტებს აქვთ ბრუნვითი გარსის ფორმა. კერძოდ, მათ შეიძლება ჰქონდეთ ცილინდრული, კონუსური, სფერული ან ელიფსოიდალური სახე.

აქტუალური **კვლევის საგანს** წარმოადგენს აქ ჩამოთვლილი კონკრეტული კონფიგურაციის მქონე ფენოვანი გარსის დეფორმირებული-დაძაბული მდგომარეობის შესწავლის საკითხი, მათზე მოქმედი შემდეგი დატვირთვების შემთხვევებში:

1. გარსი იმყოფება ლოკალური დატვირთვის ზემოქმედების ქვეშ;
2. გარსზე მოქმედებენ თანაბრად და არათანაბრად განაწილებული ზედაპირული ძალები;
3. გარსი იმყოფება ტემპერატურული ველის ზემოქმედების ქვეშ.

ამ მიმართულებებით **კვლევების აქტუალობას** განსაზღვრავს დასმული გამოყენებითი ამოცანების ზედმიწევნით პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც აღნიშნული იქნა ზემოთ, გარსების, როგორც საინჟინრო კონსტრუქციების დახასიათებისას. **კვლევების მეთოდოლოგიასთან** მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კლასის გარსების დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის შესწავლა ანალიზური მეთოდების გამოყენებით თითქმის

შეუძლებელია რიგი სირთულეების გამო. შესაბამისად, მათი ამოხსნის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს რიცხვითი მეთოდების გამოყენება. კვლევები გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია კონკრეტული ამოცანების რიცხვითი რეალიზაციისას გამოყენებული იქნას როგორც კლასიკური, ასევე დაზუსტებული თეორიები (სწორედ ამ უკანასკნელის გამოყენება წარმოადგენს **კვლევის სიახლეს** ჩვენს შემთხვევაში), რაც მოგვცემს მიღებული რიცხვითი შედეგების ფართო ანალიზის ჩატარების საშუალებას [46-56].

შემსრულებელი: ე. აბრამიძე.

ამოცანა 1.4. სტოქასტური მოდელები რთული ტექნიკური სისტემების სტრუქტურულ მართვაში

ამოცანის **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს ნებისმიერი მსხვილმასშტაბიანი, ტერიტორიულად განაწილებული ტექნიკური სისტემა და მისი სტრუქტურული მართვის ქვესისტემა. სამართი სისტემა შედგება არასაიმედო, რემონტირებადი ელემენტებისგან (კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო სისტემები, გაზისა და ნავთობის მილსადენები, თავდაცვისა და ტრანსპორტის სისტემები და ა.შ.)

სამართ სისტემაზე მოქმედი შემთხვევითი სტრუქტურულ შემფოთებები (სისტემის ელემენტების მტყუნებები) იწვევს მისი სტრუქტურის ცვლილებებს. აღნიშნული შემფოთებების კომპენსაციისთვის სისტემაში ხორციელდება სტრუქტურული მართვა.

სამართი სისტემა შეიცავს m (ზემოაღნიშნულის თანახმად შესაძლებელია შემთხვევა $m = \infty$) ძირითად და n სარეზერვო ელემენტებს. ძირითადი და სარეზერვო ელემენტები მტყუნდებიან მუდმივი (მაგრამ განსხვავებული) ინტენსივობებით. მტყუნებული ძირითადი ელემენტი ჩანაცვლებული უნდა იქნას მუშა სარეზერვო ელემენტით. მტყუნებული ელემენტი, ძირითადიც და სარეზერვოც, გადაეცემა სარემონტოდ. ჩანაცვლებისა და რემონტისთვის გვაქვს შესაბამისად მომსახურების k და l რაოდენობის არხები (სერვერები). ჩანაცვლებისა და რემონტის დროები შემთხვევითი სიდიდეებია H და G განაწილების ფუნქციებით.

იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების არხები დაკავებულია, ფორმირდება მოთხოვნათა რიგები ჩანაცვლებასა ან რემონტზე. ძირითადი ელემენტის მტყუნების მომენტში წარმოიშვება ორი პარალელური ოპერაციის, ჩანაცვლებისა და რემონტის განხორციელების მოთხოვნები. სწორედ ეს არის შემავალი **ნაკადის ბიფურკაცია**. ამის გამო, განხილული სისტემების მათემატიკური მოდელირება ძალიან გაძნელებულია.

საერთოდ ცნობილია, რომ არ არსებობს რაიმე ზოგადი მათემატიკური მოდელი მანქანათა ინტერფერენციის პრობლემის (**MIP**) გადასაწყვეტად. მოდელები აგებული და გამოკვლეულია მხოლოდ m და n ნატურალურ რიცხვების, ასევე H და G ფუნქციების ტიპების მიხედვით [57-71]. მით უფრო შეუძლებელია ზოგადი მოდელის შექმნა **MIP**-ის განზოგადებული პრობლემის გადასაწყვეტად, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ. წამყვანი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საჭიროა 50-მდე მოდელის შექმნა და გამოკვლევა იმისათვის, რომ ტერიტორიულად განაწილებული ქსელების სტრუქტურული მართვის პრობლემა ამ ასპექტში, პირველი მიახლოებით მაინც, გადაჭრილად ჩაითვალოს. თემის შემსრულებელთა მიერ აქამდე აგებულია 15-მდე ახალი მოდელი, ხოლო მათ შორის სრულფასოვნად გამოკვლეულია მხოლოდ 6-7. აშკარაა, რომ საჭიროა მაღალი კლასის ექსპერტთა დიდი რაოდენობის

ინტენსიური შრომა მრავალი წლების განმავლობაში, რათა ზემოთაღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ჩვენ მოვუწოდებთ ზემოაღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ ექსპერტებს, შემოგვიერთდნენ ჩვენს საქმიანობაში.

ქვემოთ მოყვანილია მოდელები, რომელთა გამოკვლევაც დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული პერიოდის ფარგლებში (ყველა მოდელში იგულისხმება, რომ $m = \infty$ და n სასრულია):

მოდელი 1 (მარკოვული მოდელი). $k = l = \infty$ (გარე ჩანაცვლება და გარე რემონტი); H და G ფუნქციები ექსპონენტურია;

მოდელი 2 (მარკოვული მოდელი). k სასრულია (შიგა ჩანაცვლება); $l = \infty$ (გარე რემონტი); H და G ფუნქციები ექსპონენტურია;

მოდელი 3 (მარკოვული მოდელი). $k = l = \infty$ (გარე ჩანაცვლება და გარე რემონტი); H და G ფუნქციები ექსპონენტურია; სარეზერვო ელემენტი განსხვავებულია ძირითადისგან და ჩანაცვლებს მას მის გარემონტებამდე. შემდეგ ის ბრუნდება საწყობში.

მოდელი 4 (ნახევრად მარკოვული მოდელი). $l = \infty$; ჩანაცვლება მყისიერია; G ფუნქცია ზოგადია; ეს მოდელი მოყვანილია ქვემოთ.

ამ მოდელში ძირითადი ელემენტების მტყუნებათა ჯამური ინტენსივობა არის α ; ერთი სარეზერვო ელემენტის მტყუნების ინტენსივობა არის β ; რემონტის ინტენსივობის ფუნქცია არის $\rho(u)$; ცნობილია რომ $\rho(u) = G(u) / (1 - G(u))$ [57, 58]. შემოვიტანოთ შემთხვევითი სიდიდეები: $i(t)$ - დროის t მომენტში მტყუნებულ ელემენტთა რაოდენობა სისტემაში; $\xi(t)$ - დროის t მომენტში რემონტის დაწყებიდან გასული დრო. აღვნიშნოთ:

$$P(t) = P\{i(t) = 0\};$$

$$p(i, t, u) = \lim(h \rightarrow 0)(1/h P\{i(t) = i, u \leq \xi(t) < u + h\}, i = 1, 2, \dots;$$

$P(t)$ და $p(i, t, u)$ ფუნქციებისათვის იწერება ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისა და კერძო წარმოებულის დიფერენციალურ განტოლებათა შემდეგი უსასრულო სისტემა.

$$\frac{dP(t)}{dt} = -[\alpha + n\beta]P(t) + \int_0^t p(1, t, u)\rho(u) du \quad (1)$$

$$\frac{\partial p(1, t, u)}{\partial t} + \frac{\partial p(1, t, u)}{\partial u} = -[\alpha + (n - 1)\beta + \rho(u)]p(1, t, u) \quad (2)$$

$$\frac{\partial p(i, t, u)}{\partial t} + \frac{\partial p(i, t, u)}{\partial u} = -[\alpha + (n - i)\beta + \rho(u)]p(i, t, u) + [\alpha + (n - (i - 1))\beta]p(i - 1, t, u) \quad (3)$$

$$\frac{\partial p(i, t, u)}{\partial t} + \frac{\partial p(i, t, u)}{\partial u} = -[\alpha + \rho(u)]p(i, t, u) + \alpha p(i - 1, t, u); i > n \quad (4)$$

საწყისი მდგომარეობისთვის

$$P(0) = 1; p(i, 0, u) = 0; u > 0; i = 1, 2, \dots \quad (5)$$

სასაზღვრო მნიშვნელობებისთვის

$$p(1, t, 0) = [\alpha + n\beta]P(t) + \int_0^t p(2, t, u)\rho(u) du \quad (6)$$

$$p(i, t, 0) = \int_0^t p(i+1, t, u) \rho(u) du; i \geq 2 \quad (7)$$

მოდელი 5 (ნახევრად მარკოვული მოდელი). k სასრულია (შიგა ჩანაცვლება); $l = \infty$ (გარე რემონტი); H ფუნქცია ექსპონენტურია, G -ზოგადი;

მოდელი 6 (ნახევრად მარკოვული მოდელი). $k = l$ (შიგა ჩანაცვლება); $l = \infty$ (გარე რემონტი); H ფუნქცია ზოგადია, G -ექსპონენტური.

შემსრულებლები: რ. კაკუბავა, თ. სალინაძე.

მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება

მიმართულება 2-ის ამოცანები ძირითადად შესრულდება მათემატიკური მოდელირების განყოფილებაში: დ. უგულავა (განყოფილების გამგე), ჯ. გიორგობიანი (კონსულტანტი), დ. ზარნაძე, მ. მენთეშაშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), გ. ბაღათურია, მ. ნაჭყებია (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები), მ. ნიკოლეიშვილი, ზ. ყალიჩავა (მეცნიერი თანამშრომლები).

ამოცანა 2.1. მიკროეკონომიკის დეტერმინირებულ და ნაწილობრივ განუზღვრელობის შემცველ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და მათი რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება

მიკროეკონომიკის უმეტესი დარგისათვის ზოგად მეთოდოლოგიურ ფუნდამენტს წარმოადგენს თამაშთა თეორია. წინა წლებში ჯ. გიორგობიანის (თემის ხელმძღვანელი) და მ. ნაჭყებიას მიერ დამუშავებული იყო მატრიცულ თამაშთა ამოხსნის ახალი მეთოდები [4, 7, 8]. მომავალ ხუთწლეულში დაგეგმილია უწყვეტ სტრატეგიულ თამაშთა რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების დამუშავება. ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. „თამაშებისათვის ბუნების წინააღმდეგ“, სადაც, როგორც წესი, „ბუნების“ სტრატეგიითა სიმრავლე უსასრულოა, ხოლო „სტატისტიკოსის“ კი სასრული. უსასრულო ანტაგონისტურ თამაშთა ამოხსნა ბუნებრივად უკავშირდება მათ მიახლოებას მართკუთხა ანუ მატრიცული თამაშებით. საკითხი მიიყვანება ფუნქციითა თეორიის ამოცანამდე, ფუნქციითა აპროქსიმაციაზე დისკრეტული ფუნქციებით. ასეთი საკითხები ხშირია მათემატიკური ეკონომიკის, კერძოდ მართვის და გაადგილების ამოცანებში.

კვლევა წარიმართება შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. ამოცანის დასმა უწყვეტ თამაშთა სხვადასხვა კლასებისათვის.
2. უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის საკითხები.

3. მთელრიცხვა დაპროგრამების ზოგიერთი ფართო პრაქტიკული გამოყენების მქონე ამოცანისათვის ოპტიმალური ამოხსნის პოვნის ალგორითმების დამუშავება და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების შექმნა.

უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებული იქნება ა. ვალდის თეორია [10, 33]. ამ თეორიის ტერმინებში ამოცანა შემდეგნაირად წარმოდგება: პრობლემების გადასაწყვეტად მოთამაშეთა სტრატეგიათა სიმრავლეების ნამრავლზე უნდა აიგოს სასრულო ε -ბადე ვალდის მიერ შემოღებული ე.წ. „ბუნებრივი მეტრიკით“. ε შეირჩევა სასურველი სიზუსტის შესაბამისად. ბადის ყოველი უჯრედიდან აიღება თითო წერტილი, რომელიც იქნება მატრიცული თამაშის ელემენტი. კონკრეტულად, ზემოთ აღნიშნული პროცედურები ჩატარდება მოგების ფუნქციათა გარკვეული კლასებისათვის. ეს მეთოდი ეფექტური უნდა გამოდგეს „თამაშებისათვის ბუნების წინააღმდეგ“, სადაც აპროქსიმაცია ხდება „ბუნების სტრატეგიათა“ სივრცეში, ხოლო პირველი მოთამაშის (სტატისტიკოსის) სტრატეგიათა რაოდენობა, საზოგადოდ, მცირეა. ასეთ ამოცანებში ეფექტური უნდა იყოს ახალი იტერაციული მეთოდი მატრიცული თამაშებისათვის.

მთელრიცხვა დაპროგრამების ზოგიერთი ფართო პრაქტიკული გამოყენების მქონე ამოცანისათვის ოპტიმალური ამოხსნის პოვნის ალგორითმების დამუშავებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით შესწავლილი იქნება შემდეგი საკითხები: ცვლადთა ნამრავლის მაქსიმუმის პოვნა ცვლადების მოცემული წრფივი კომბინაციების საშუალებით; მთელ რიცხვთა სასრულო სიმრავლის ისეთი ქვესიმრავლის მოძებნა, რომლის ელემენტთა ჯამი მოცემული რიცხვის ტოლია; ისეთი ქვესიმრავლის მოძებნა, რომელთა ელემენტების ჯამის და წინასწარ მოცემული რიცხვის სხვაობის მოდული მინიმალურია; მოცემული მთელ რიცხვთა სიმრავლის და მოცემული რიცხვისათვის მათი მადომინირებელი ქვესიმრავლეების რაოდენობის დადგენის ამოცანა. რიცხვითი სიმრავლის სასრული ქვეჯამების პრობლემები ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემებია და არის NP-რთული. ამ ამოცანებს აქვთ ფართო პრაქტიკული გამოყენება, განსაკუთრებით კრიპტოგრაფიაში, რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და სხვა ამოცანებში [5].

დაგეგმილია შემდეგი ამოცანების შესწავლა:

ამოცანა 2.1.1. ვთქვათ, $n > 1$ ნატურალური რიცხვია, X - არაუარყოფით მთელ რიცხვთა სიმრავლეა, $b \in X$, $b > 0$ და $x_i, a_i \in X$, $i = 1, 2, \dots, n$. ვიპოვოთ $\prod_{i=1}^n x_i$ ნამრავლის მაქსიმუმი შემდეგი პირობით: $\sum_{i=1}^n a_i x_i = b$.

ამოცანა 2.1.2. ვთქვათ, მოცემულია დადებითი მთელი რიცხვების რაიმე სასრული სიმრავლე $A = \{a_1, a_2, \dots, a_k\}$ და დადებითი მთელი რიცხვი b , რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$\min\{a_1, a_2, \dots, a_k\} < b < \sum_{i=1}^k a_i.$$

არსებობს თუ არა A -ს ისეთი ქვესიმრავლეები, რომელთა ელემენტების ჯამი მოცემული b რიცხვის ტოლია? არსებობის შემთხვევაში, მოიძებნოს ერთი მაინც ასეთი ქვესიმრავლე.

ამოცანა 2.1.3. ამოცანა 2.1.2-ში ვიპოვოთ A -ს ისეთი ქვესიმრავლე, რომლის ელემენტების ჯამისა და მოცემული b რიცხვის სხვაობის მოდული მინიმალურია.

ამოცანა 2.1.4. ვთქვათ, მოცემულია დადებითი მთელი რიცხვების რაიმე სასრული სიმრავლე $A = \{a_1, a_2, \dots, a_k\}$ და დადებითი მთელი რიცხვი b . $J \subset A$ ქვესიმრავლეს ვუწოდოთ მადომინირებელი, თუ $P(J) = \sum_{a_i \in J} a_i \leq b$ და $P(J) + a_k > b$ ნებისმიერი $a_k \in A \setminus J$ -სთვის. A –სიმრავლის და მოცემული b რიცხვისათვის განვსაზღვროთ მადომინირებელი ქვესიმრავლეების რაოდენობა.

რიცხვითი სიმრავლის სასრული ქვეჯამების პრობლემები ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს, განსაკუთრებით კრიპტოგრაფიაში.

2.2. სასრული ორბიტების ჰილბერტის სივრცესა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში პირველი გვარის განტოლების მიახლოებითი ამოხსნა. სკლანური და ცენტრალური ალგორითმები არაკორექტული ამოცანების საშუალოდ დასმის შემთხვევისათვის

ჰილბერტის სივრცეებს შორის მოქმედი სინგულარული დაშლის მქონე ოპერატორისათვის განვიხილავთ პირველი გვარის არაკორექტული $Au = f$ სახის განტოლებას. საძიებელია ამ განტოლების განზოგადებული ამოხსნა ტიხონოვ-ფილიპსის აზრით, რომელიც აკმაყოფილებს $(A^*A + \gamma I)u = A^*f$ განტოლებას, სადაც A^* არის A -ს ჰილბერტის აზრით შეუღლებული ოპერატორი, ხოლო γ -ფიქსირებული დადებითი რიცხვია. ამ მიზნით მოხდება განტოლების გადატანა სასრული ორბიტების ჰილბერტის სივრცეში და აგრეთვე, ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში, სადაც შებრუნებული ოპერატორი უწყვეტი ხდება. აქამდე, ეს ამოცანა შესწავლილი გვქონდა $\gamma = 0$ შემთხვევისათვის. მარჯვენა მხარეზე მოცემული არადაპტური ინფორმაციისათვის შესწავლილი იქნება სკლანური ალგორითმის კონსტრუირებისა და აგებული მიახლოებითი ამონახსნების ჩვენს მიერ აგებულ სივრცეებში განზოგადებული ამოხსნისაკენ კრებადობის საკითხი.

კომპიუტერული ტომოგრაფის ამოცანისათვის აგებული იქნა უმარტივესი წრფივი სკლანური ალგორითმები სასრული ორბიტებისა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში ამოცანის უარესი დასმის შემთხვევაში რადონის ოპერატორის შებრუნებულის გამოსათვლელად [20-25, 27-29, 31]. ასეთი დასმის შემთხვევაში ვერ მოხერხდა ოპტიმალური და ცენტრალური ალგორითმების აგება. საშუალო დასმის შემთხვევაში ვახანას, ტრაუბისა და ვერშულცის შრომებში [18,19,32] დამტკიცდა ამოხსნის ოპერატორის შემოსაზღვრულობა გაუსის ზომის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აგებული იქნას ოპტიმალური ალგორითმი. რადონის ოპერატორი გაუსის ზომით შესწავლილი იქნა ჰოლმის და სენგუპტას მიერ [9], ხოლო საშუალო დასმის შემთხვევაში ოპტიმალური ალგორითმის აგების ამოცანა შესწავლილი იქნა ვახანას და ტარიელაძის ნაშრომში [17]. კვლევის მიზანია აიგოს ცენტრალური ალგორითმი რადონის ოპერატორის შებრუნებისათვის საშუალო დასმის შემთხვევაში. მოხდება ε -სირთულის გამოთვლა კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის სასრული ორბიტებისა და ყველა ორბიტების სივრცეში აგებული სკლანური ალგორითმების მიხედვით. აგებული ცენტრალური ალგორითმების მიხედვით მოხდება გამოთვლითი პროცესების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, მათი გაპარალელელება და რიცხვითი რეალიზაცია.

არაკორექტული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისათვის სპლაინურ და ცენტრალურ ალგორითმებს აქამდე ვიკვლევდით უარესი დასმის შემთხვევისათვის. არაკორექტული ამოცანებისათვის წრფივი უარესი დასმის ამოცანა ნებისმიერი არაადაპტური შემთხვევისათვის ამოხსნადია მხოლოდ შემოსაზღვრული ოპერატორებისათვის. რაც შეეხება საშუალოდ დასმის შემთხვევას, ის ყოველთვის ამოხსნადია, თუ საშუალოდ დასმის ამოცანის განსაზღვრაში შემავალი ზომა არის გაუსის. ეს გარემოება განსაზღვრავს ინტერესს საშუალო დასმის აზრით განხილული ამოცანებისადმი. **ჩვენი ძირითადი მიზანი** დაკავშირებულია არაკორექტული ამოცანებისათვის საშუალოდ დასმის აზრით ოპტიმალური, სპლაინური და ცენტრალური ალგორითმების აგებასთან.

კვლევის მეთოდოლოგია: სასრული ორბიტების ჰილბერტის სივრცესა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში პირველი გვარის განტოლების ტიხონოვ-ფილიპსის აზრით ამოხსნისათვის გამოვიყენებთ ჩვენს მიერ კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის მური-პენროუზის აზრით ამოხსნისას მიღებულ გამოცდილებას. ამოცანის არასტაბილურობა დიდ სიძნელეებს ქმნის. ჩვენს მიერ განხილული არაკორექტული ამოცანებისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების დაფუძნებები მოხდა ფრეშეს სივრცეებში საუკეთესო მიახლოების, თვითშეუღლებული ოპერატორებისა და წრფივი ამოცანების თეორიების განზოგადებით. რე გულარიზაციისა და ჩვენს მიერ შექმნილი მეთოდი არსებითად იყენებს საუკეთესო მიახლოების თეორიის შედეგებს. მიღებული შედეგების ბაზაზე ჩატარდება კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის წრფივი, განზოგადებულად სპლაინური და ცენტრალური ალგორითმების ანალიზი. შეიქმნება შესაბამისი პროგრამული პროდუქტი და ჩატარდება რიცხვითი ექსპერიმენტები.

2.3. ორბიტალური კვანტური მექანიკის აგება. ორბიტალური ოპერატორების გამოყენება ევოლუციური განტოლებების შესასწავლად

გაგრძელდება კვლევები ორ, სამ და მრავალგანზომილებიანი კვანტური ოსცილატორისა და შრედინგერის განტოლებების მიმართულებით. აგებული იქნება წრფივი, სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები აღნიშნული განტოლებების მიახლოებითი გამოთვლებისათვის სასრული ორბიტების ჰილბერტისა და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში.

დაგეგმილია მრავალგანზომილებიან ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის შესაბამისი ორბიტალური ოპერატორების შემცველი განტოლებისათვის ცენტრალური სპლაინური ალგორითმების აგება სასრული ორბიტების ჰილბერტისა და ყველა ორბიტების ოპერატორის ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სივრცეებში შესწავლილია შრედინგერის ერთგანზომილებიანი ოპერატორის შემცველი განტოლება ნებისმიერი მარჯვენა მხარისათვის, რასაც სუპერპოზიციის პრინციპიდან გამომდინარე აქვს კვანტურ-მექანიკური შინაარსი [26,30]. კვლევისას საჭირო იქნება ტალღური ფუნქციების 1-ორბიტების ვიზუალიზაციები სამგანზომილებიან სივრცეებში. ისინი აღწერენ ნაწილაკის მდებარეობის ალბათობებს ორგანზომილებიან სიბრტყეზე (0-ორბიტა ემთხვევა კლასიკურს).

კვანტური ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის ოპერატორი 2014 წელს განხილული იქნა აგრეთვე ს. ვეგნერის მიერ C_0 -ნახევარჯგუფების თეორიის [34] სობოლევის კომპიუტაციების

კლასიკური თეორიაში გამოყენებისას. კერძოდ, ის გამოიყენება ბანახის სივრცეზე C_0 -ნახევარჯგუფიდან ასოცირებული ექსტრაპოლაციის სივრცეების აღმავალი უსასრულო ჯაჭვისა და ინტერპოლაციის სივრცეების უსასრულო დაღმავალი ჯაჭვის კონსტრუირებისათვის. **თემის მიზანია** გამოვიყენებუი იქნას ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის ოპერატორი ოპერატორი კვანტური მექანიკის ევოლუციური განტოლებების შესასწავლად ორბიტალურ სივრცეებში.

კვლევის მეთოდოლოგია: მრავალგანგანზომილებიანი ოსცილატორის და შრედინგერის განტოლებების კვლევებისათვის საჭირო გახდება იმ მეთოდების განვითარება, რაც ადრე გამოყენებული იყო თემის შემსრულებლების მიერ ორბიტალურ სივრცეებში ჰარმონიული ოსცილატორის შებრუნებულის გამოთვლასთან დაკავშირებით. კვანტური არაკორექტული ამოცანები საზოგადოდ არასტაბილურია, რაც უაღრესად დიდ სიძნელეებს ქმნის. მათი კვლევისათვის რეგულარიზაციის ცნობილი მეთოდის გამოყენება განპირობებულია დამაკმაყოფილებელი პრაქტიკული შედეგებით. ჩვენს მიერ განხილული არაკორექტული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების დაფუძნებები მოხდა ფრეშეს სივრცეებში საუკეთესო მიახლოების, თვით შეუღლებული ოპერატორებისა და წრფივი ამოცანების თეორიების განზოგადებით. ჩვენს მიერ შექმნილი მეთოდი არსებითად იყენებს ფრეშეს სივრცეში საუკეთესო მიახლოების თეორიის შედეგებს. მომავალ ხუთ წელიწადში, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ჩატარდება ყველა ორბიტის სივრცეში განხილული სტაბილური განტოლებების კვლევა, შეისწავლება დამოკიდებულებები რეგულარიზაციისა და ჩვენს მიერ აგებულ მეთოდებს შორის, შეიქმნება განხილული ალგორითმების პროგრამული პროდუქტი.

2.4. ჩვეულებრივი ან კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებით ან განტოლებათა სისტემებით წარმოდგენილი ზოგიერთი მათემატიკური მოდელის კვლევა

2.4.1. პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების ზოგიერთი კლასისათვის

ამ მიმართულებით კვლევების ძირითადი საგანი მეორე რიგის შერეული ტიპის კვაზიწრფივი განტოლებებისათვის სხვადასხვა ამოცანის: საწყისი, მახასიათებელი, დარბუს, კოშის შებრუნებული ამოცანის კორექტულად დასმა და შესწავლაა. ასეთი განტოლებები მრავალი პრაქტიკული ამოცანის მოდელს წამოადგენს.

დიფერენციალური განტოლებებისათვის შებრუნებულ ამოცანაში გულისხმობენ განტოლების კოეფიციენტების, მარჯვენა მხარის, საწყისი ან სასაზღვრო პირობების პოვნას პირდაპირი ამოცანის ამონახსნის ან მისი რაიმე ფუნქციონალის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მათემატიკური ფიზიკის შებრუნებული ამოცანები ძირითადად არაკორექტულია კლასიკური გაგებით, მაგრამ მათი პრაქტიკული მნიშვნელობა იმდენად დიდია ასტროფიზიკაში, გამოყენებით გეოფიზიკაში, კვანტურ მექანიკასა და სხვა, რომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან მათემატიკის ახალი მიმართულება შეიქმნა - მათემატიკური ფიზიკის არაკორექტული ამოცანების თეორია, ამ თეორიას საფუძვლები დაუდო ტიხონოვისა და ლავრენტიევის ნაშრომებმა.

კერძოდ, **დაგეგმილია** ამოცანათა გლობალური და ლოკალური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხების კვლევა, ამონახსნის თვისებებისა და განსაზღვრის არეების შესწავლა, შესაბამისი დისკრეტული ანალოგების განხილვა, ამოხსნის მეთოდების დაფუძნება, კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარება მოდელური ამოცანებისთვის.

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი კვლევები ნაშრომებში [1-3, 6, 11-16] წარმოდგენილი შედეგების განზოგადებასა და ახალი ამოცანების განხილვას გულისხმობს.

ჩვენი კვლევის ობიექტებად შერჩეულია ეილერ-დარბუსა და ბორნ-ინფელდის კლასის განტოლებები, რომლებიც მეორე რიგის ნამდვილმახასიათებლიანი კვაზიწრფივი განტოლებებია, მათი მთავარი კოეფიციენტები საძიებელი ამონახსნისა და მისი უმცროსი წარმოებულების ფუნქციებია. ყოველი მათგანი არამკაცრადაა ჰიპერბოლური. მახასიათებლებიც და პარაბოლური გადაგვარების წერტილთა სიმრავლეც საძიებელმა ამონახსნით განისაზღვრება. გამორიცხული არაა პარაბოლური გადაგვარების ეფექტიც, თუმცა ეს ეფექტიც და სხვა მიზეზებიც, მიუხედავად მათი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობისა, ჯერჯერობით ნაკლებადაა გამოკვლეული.

განზრახულია შემდეგი ამოცანების შესწავლა: ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისათვის საწყისი ამოცანა, ზოგადი ინტეგრალის გამოყენებით ამოცანის შესწავლა, გლობალური და ლოკალური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება, ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა, ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის მახასიათებელია ამოცანის არაწრფივი ვარიანტის განხილვა, ბორნ-ინფელდის კლასის განტოლებისთვის კოშის შებრუნებული ამოცანის არაწრფივი ვარიანტისა და ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის დარბუს ამოცანის არაწრფივი ვარიანტის შესწავლა, განხილული ამოცანების (საწყისი, მახასიათებელი, კოშის და დარბუს შებრუნებული) დისკრეტული ანალოგების შესწავლა, რიცხვითი გავლების ჩატარება, მეთოდების ეფექტურობის შემოწმება ტესტურ მაგალითებზე.

კვლევის სიახლეები:

- ა) განსახილველი განტოლებებისათვის დასმული ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები არ არის შესწავლილი და სიახლეა მათთვის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები, ამონახსნთა თვისებების შესწავლა, განსაზღვრის არეთა სტრუქტურის დადგენა;
- ბ) ანალიზური მეთოდების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც გარკვეული სახის შებრუნებული ამოცანები შესაძლებელი იქნება, დაყვანილ იქნას გურსას არაწრფივი ვარიანტის ამოცანაზე, ან აიგოს ამოხსნის მეთოდი, რომელიც დამყარებული იქნება მახასიათებელთა კლასიკურ მეთოდზე გურსას ამოცანის გამოყენების გარეშე;
- გ) ზემოჩამოთვლილი ამოცანებისთვის დისკრეტული ანალოგების განხილვა და ამოხსნის რიცხვითი მეთოდების დაფუძნება.

დაგეგმილია შემდეგი ამოცანების შესრულება:

პირველი ეტაპი:

საწყისი ამოცანის შესწავლა განტოლებათა ერთი კლასისათვის. განიხილება ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის საწყისი ამოცანა, ზოგადი ინტეგრალის გამოყენებით ამოცანის შესწავლა, არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება, ამონახსნის თვისებების შესწავლა, მისი განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.

მეორე ეტაპი:

მახასიათებელი ამოცანის შესწავლა განტოლებათა ერთი კლასისათვის. განიხილება ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის მახასიათებელია ამოცანის არაწრფივი ვარიანტი, შესწავლილი იქნება ამოცანის კორექტულობა, ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება; ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.

მესამე ეტაპი:

კომის შებრუნებული ამოცანის შესწავლა განტოლებათა ერთი კლასისათვის. განიხილება ბორნ-ინფელდის კლასის განტოლებისთვის კომის შებრუნებული ამოცანის არაწრფივი ვარიანტი, შესწავლილი იქნება ამოცანის კორექტულობის პრობლემა, შემუშავდება ამოცანის ამოხსნის მეთოდები.

მეოთხე ეტაპი:

დარბუს არაწრფივი ამოცანის შესწავლა განტოლებათა ერთი კლასისათვის. განიხილება ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის დარბუს ამოცანის არაწრფივი ვარიანტი, შესწავლილი იქნება ამოცანის კორექტულობა, ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება; ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.

მეხუთე ეტაპი:

განხილული ამოცანების (საწყისი, მახასიათებელი, კომის შებრუნებული და დარბუს შებრუნებული) დისკრეტული ანალოგების შესწავლა, რიცხვითი გათვლების ჩატარება, მეთოდების ეფექტურობის შემოწმება ტესტურ მაგალითებზე.

კვლევის მეთოდოლოგია: კერძო წარმოებულებიანი არაწრფივი განტოლებებისთვის თანამედროვე არაწრფივი ანალიზის მეთოდები, კვაზიწრფივ განტოლებათა ზოგადი ინტეგრალების წარმოდგენები, როცა ასეთები არსებობენ. სავარაუდოა, რომ მახასიათებელი რიმანისეული ინვარიანტების ანალოგებისა და განტოლებათა ზოგადი ინტეგრალების შეხამება არაწრფივი ანალიზისა და რიცხვითი ანალიზის თანამედროვე მეთოდებთან, დასმული პრობლემის კვლევისათვის ეფექტიანი იქნება. მათი საშუალებითა და რიცხვითი ანალიზის მეთოდების, მათემატიკური კომპიუტერული პროგრამების დახმარებით შესწავლილი იქნება ამოცანათა დისკრეტული ანალოგები, განხილული იქნება ტესტური მაგალითები.

2.4.2. ძელის რხევისა და დიფუზიის მოდელის შესაბამისი ამოცანების ამოხსნის მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა

იგეგმება ზოგიერთი მათემატიკური მოდელისათვის, რომელიც წარმოდგენილია ჩვეულებრივი ან კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებით ან განტოლებათა სისტემებით, მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა.

ა) ქვემოთ წარმოდგენილია ერთი მათემატიკური მოდელი, რომელიც საწყის-სასაზღვრო ამოცანით აღიწერება:

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x, t) + \frac{\partial^4 u}{\partial x^4}(x, t) - h \frac{\partial^4 u}{\partial x^2 \partial t^2}(x, t) - \left(\lambda + \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x}(x, t) \right)^2 dx \right) \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x, t) = f(x, t), \quad (2.1)$$

$$0 < x < L, \quad 0 < t \leq T,$$

$$u(x, 0) = u^0(x), \quad \frac{\partial u}{\partial t}(x, 0) = u^1(x), \quad (2.2)$$

$$u(0, t) = u(L, t) = 0, \quad \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(0, t) = \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(L, t) = 0,$$

სადაც h არაუარყოფითი და λ დადებითი მუდმივებია. აგრეთვე, $u^0(x) \in \overset{0}{W}_2^2(0, L)$, $u^1(x) \in \overset{0}{W}_2^1(0, L)$, $f(x, t) \in L_2\left(0, L; \overset{0}{W}_2^1(0, L)\right)$ მოცემული ფუნქციებია, ამასთან, $u^0(0) = u^1(0) = u^0(L) = u^1(L) = 0$.

(2.1) განტოლება, რომელიც ტიმოშენკოს (Timoshenko) თეორიაზე დაყრდნობით მიღებულია ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) მიერ, აღწერს ძელის რხევას. $u(x, t)$ და $f(x, t)$ შესაბამისად ძელის გადაადგილების და ძალის ფუნქციებია.

განტოლებათა სისტემა

$$\begin{aligned} w_{tt} &= \left(cd - a + b \int_0^1 w_x^2 dx \right) w_{xx} - cd\psi_x, \\ \psi_{tt} &= c\psi_{xx} - c^2 d(\psi - w_x), \\ 0 < x < 1, \quad 0 < t \leq T, \end{aligned} \quad (2. a)$$

საწყის-სასაზღვრო პირობებით

$$\begin{aligned} w_t(x, 0) &= w^1(x), \quad w(x, 0) = w^2(x), \\ \psi_t(x, 0) &= \psi^1(x), \quad \psi(x, 0) = \psi^2(x), \\ w_t(0, t) &= w_t(1, t) = 0, \quad \psi_t(0, t) = \psi_t(1, t) = 0, \\ 0 \leq x \leq 1, \quad 0 \leq t \leq T. \end{aligned} \quad (2. b)$$

სამიგბელი $w(x, t)$ და $\psi(x, t)$ ფუნქციები ძელის შუა ხაზის განივი გადახრა და განიკვეთის ბრუნვითი გადაადგილებაა, შესაბამისად. (2. b)-ში w^l , ψ^l მოცემული ფუნქციებია, ამასთან,

$$w^l(x), \psi^l(x) \in W_2^{l+1}(0, 1), \quad l = 1, 2. \quad (2. c)$$

(2. a)-ში

$$a, b, c, d > 0, \quad cd - a > 0, \quad (2. d)$$

სადაც

$$a = \frac{Al\Delta}{I_1}, \quad b = \frac{Al^2}{2I_1}, \quad c = \frac{Al^2}{I_2}, \quad d = \frac{GI_2}{EI_1}, \quad (2. e)$$

E არის იუნგის მოდული, G ძვრის მოდულია, A განიკვეთის ფართობია, $l = 1$ ძელის სიგრძეა, I_1 ძელის შუახაზის პერპენდიკულარული ღერძის მიმართ განიკვეთის ინერციის მომენტი, I_2 – განიკვეთის პოლარული მომენტი და Δ – ძელის ბოლოების დამოკლება.

ბ) ალან-კანის (Allen-Cahn) დიფუზიის განტოლება

$$\frac{\partial \phi}{\partial t} = \varepsilon \Delta \phi - f(\phi), \quad (x, t) \in \Gamma \times [0, T]$$

საწყის-სასაზღვრო პირობებით:

$$\phi(x, 0) = f(x), \quad \phi(a_1, t) = \phi(a_n, t) = h(t).$$

ეს მოდელი შეისწავლის ფაზების გადაადგილებასა და ფაზათშორის დინამიკას მასალების შემსწავლელ მეცნიერებაში.

კვლევის მეთოდოლოგია: ზემოთ მოყვანილი მოდელებისთვის, განხილული იქნება მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა. აგრეთვე, იგეგმება პროექციული (რითის ან გალიორკინის ან სხვა) და სხვაობიანი მეთოდების (ცხადი ან არაცხადი მათ შორის კრანკ-ნიკოლსონის ტიპის სიმეტრიულ სქემები) გამოყენება. დისკრეტიზირების შედეგად, მიღებულ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება იტერაციული (პიკარის, ნიუტონის, სტეფენსონის ან სხვა) მეთოდები. გამოყენებული ალგორითმების ეფექტურობის შემოწმება იგეგმება ტესტურ მაგალითებზე.

მიმართულება 3. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები ფუნდამენტურ და გამოყენებით ამოცანებში

მიმართულება 3-ის ამოცანები ძირითადად შესრულებულია ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში: ვ. ტარიელაძე (განყოფილების გამგე), ს. ჩოხანიანი, ვ. კვარაცხელია, გ. გიორგობიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), გ. ჭელიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ზ. გორგაძე, ვ. ბერიკაშვილი (მეცნიერი თანამშრომლები).

ამ მიმართულებით დაგეგმილია 3 ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 3.1. გადანაცვლებებთან დაკავშირებული მაქსიმალური უტოლობები. გამოყენებები თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებში.

კვლევის მეთოდი ძირითადად ემყარება მაქსიმალურ უტოლობებს. ჩვენს მიერ შემუშავებულ იდეის გამოყენებით [14, 15, 17, 18, 20, 24], “კარგი” გადანაცვლების მოძებნის რთული ამოცანა დაიყვანება შედარებით ადვილ, ნიშნების განლაგების ამოცანაზე.

პროექტის ამ ნაწილის ამოცანების ნათლად ჩამოსაყალიბებლად, ქვემოთ მოყვანილია ორი შედეგი, რომლებიც წარმოადგენს ჩვენი კვლევების საფუძველს.

ვთქვათ, მოცემულია X ნორმირებული სივრცის ელემენტთა ისეთი ერთობლიობა $(x_1, \dots, x_n)$, რომ $\sum_{i=1}^n x_i = 0$.

თეორემა 1. მაქსიმალური უტოლობა. ნიშნების ნებისმიერი ერთობლიობისთვის $(\theta_1, \dots, \theta_n)$, $\theta_i = \pm 1$ ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას:

$$\max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_i \right\| + \max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k \theta_i x_i \right\| \geq 2 \max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_{\pi(i)} \right\|, \quad (1)$$

სადაც გადანაცვლება π დამოკიდებულია მხოლოდ θ -ზე და განისაზღვრება ცხადი სახით.

თეორემა 2. გადატანის უტოლობა. არსებობს ისეთი გადანაცვლება $\sigma: \{1, 2, \dots, n\} \rightarrow \{1, 2, \dots, n\}$, რომ ნიშნების ნებისმიერი ერთობლიობისთვის $(\theta_1, \dots, \theta_n)$ ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას:

$$\max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_{\sigma(i)} \right\| \leq \max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k \theta_i x_{\sigma(i)} \right\|. \quad (2)$$

მაქსიმალურ უტოლობებთან დაკავშირებული ჩვენი მეთოდი გამოყენებულია მეცნიერების შემდეგ სფეროებში: წმინდა მათემატიკა (კრებადობის საკითხები), ალბათობა და სტატისტიკა, განრიგების თეორია, განსხვავებათა თეორია. მეთოდს შესაძლოა ჰქონდეს საინტერესო გამოყენებები მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობის ამოცანებში.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ მიმართულებით დაგეგმილ ამოცანებს:

3.1.1. ახალი მაქსიმალური უტოლობები ფუნქციონალური შესაკრებების

გადანაცვლებებისათვის

თეორემა 1 -დან გამომდინარეობს მორე-პიზიეს ტიპის უტოლობა [15]: ვთქვათ $x_1, x_2, \dots, x_n$ ელემენტებია X -დან, $\sum_{k=1}^n x_k = 0$ და $\Phi: \mathbb{R}^+ \rightarrow \mathbb{R}^+$ ზრდადი, ამოზნექილი ფუნქციაა. მაშინ სამართლიანია შემდეგი ორმხრივი უტოლობა:

$$\int_0^1 \Phi \left(\frac{1}{2} \left\| \sum_{k=1}^n x_k r_k(t) \right\| \right) dt \leq \frac{1}{n!} \sum_{\sigma} \Phi \left(\max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_{\sigma(i)} \right\| \right) \leq 2 \int_0^1 \Phi \left(\frac{1}{2} \left\| \sum_{k=1}^n x_k r_k(t) \right\| \right) dt, \quad (3)$$

სადაც (r_k) რადემახერის ფუნქციებია.

ნაშრომში [71] მიღებულია ამ უტოლობების ზოგიერთი მოდიფიკაცია. ამჯერად ვგეგმავთ დავამტკიცოთ ახალი მაქსიმალური უტოლობები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისათვის:

a) ფუნქციონალურ სივრცეებში ნორმის ტერმინებში;

b) ამოზნექილი ფუნქციების ინტეგრალების ტერმინებში.

მიღებული უტოლობები გამოყენებული იქნება ფურიეს, ფუნქციონალური და შემთხვევითი მწკრივების კრებადობის საკითხებში.

3.1.2. გადანაცვლებები სასრულ განზომილებიან სივრცეებში. SC და SSC მუდმივების პრობლემა

შტეინიცისა და ნიშან-მიმდევრობის მუდმივების ამოცანა სასრულგანზომილებიან სივრცეებში განხილულია ბარანის მიერ [5], სადაც შენიშნულია, რომ თეორემა 2-დან გამომდინარეობს, რომ შტეინიცის მუდმივი (SC) არ აღემატება ნიშნის-მიმდევრობის მუდმივს (SSC). პროექტში ვგეგმავთ დავამტკიცოთ (ან უარვყოთ), რომ $SSC \leq K \cdot SC$, სადაც K რაღაც მუდმივია. ეს არის კომბინატორიკის დიდი ხნის გადაუჭრელი პრობლემა (იხ. [41]).

3.1.3. ჯამთა სიმრავლის ამოცანა

პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის შესახებ რიმანის ცნობილ თეორემის ანალოგები სასრულგანზომილებიან ნორმირებულ სივრცეში კარგადაა ცნობილი, ეს სიმრავლე აფინურია (ლევ-შტაინიცის თეორემა) [40, 49, 76]. ცნობილია აგრეთვე, რომ ანალოგიური სიმრავლე ჩაკეტილია და აფინური მეტრიზებადი ბირთვული სივრცეებისთვისაც [74]. არაბირთვული, კერძოდ უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეების შემთხვევაში ანალოგიური დებულების სამართლიანობისთვის საჭიროა დამატებითი მოთხოვნები განსახილველ მწკრივზე. პირველი შედეგი ამ მიმართულებით მიღებული იყო ნაშრომში [78]. სტატიაში [14] ნაჩვენებია, რომ რადემახერის მწკრივის $\sum x_k r_k$ თ.ყ. კრებადობა საკმარისი პირობაა. ამ შედეგმა განაზოგადა ბევრი ადრე ცნობილი შედეგი კონკრეტული ბანახის სივრცეებისთვის. თეორემა 2-ზე დაყრდნობით ახალი, უფრო ფაქიზი, ე.წ. (σ, θ) -პირობა (CP-პირობა, იხ. [79]) ნაპოვნი იქნა ჩვენს ნაშრომებში [17, 18] (იმავე პერიოდში, დამოუკიდებლად ნაშრომში [45]):

(σ, θ) -პირობა (CP-პირობა): მწკრივი $\sum x_k$ ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეში აკმაყოფილებს (σ, θ) -პირობას თუ ნებისმიერი გადანაცვლებისთვის $\sigma: \mathbb{N} \rightarrow \mathbb{N}$ არსებობს ნიშნების ისეთი მიმდევრობა $\theta_i, \theta_i = \pm 1, i = 1, 2, \dots$, რომ მწკრივი $\sum \theta_i x_{\sigma(i)}$ კრებადია.

ეს შედეგი გავრცობილი იქნა მეტრიზებადი ლოკალურად ამოხსნეკილი და ლოკალურად შემოსაზღვრული ტოპოლოგიური ვექტორული სივრცეებისთვის [9, 30]. (σ, θ) -პირობა ავტომატურად სრულდება სასრულგანზომილებიან სივრცეებში [25]. ასე, რომ [9]-ის შედეგი მოიცავს ლევ-შტეინიცის თეორემის მტკიცებასაც. ამ საკითხების განვითარების ისტორია გადმოცემულია ცნობილ მონოგრაფიაში [36] (იხ. აგრეთვე [29]).

a) დაგეგმილია შედეგების გავრცობა წრფივი მეტრიკული სივრცეების უფრო ფართო კლასზე; (σ, θ) -პირობის დახასიათება კონკრეტულ ბანახის სივრცეებში; შტეინიცის და ძლიერად მახალანსებელი ოპერატორების [2] და მათი ზოგიერთი განზოგადების განხილვა. ვგეგმავთ ჩვენს მეთოდებზე და ნაშრომებზე [6, 4, 25] დაყრდნობით გამოვიკვლიოთ ბირთვული ფრემეს სივრცეების დახასიათების საინტერესო ამოცანა [2, 9].

მოგვიანებით და ჩვენგან დამოუკიდებლად, (σ, θ) -პირობა განხილული იქნა ნაშრომში [50], სადაც დაისვა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ახლაც ღიაა. ჩვენ ვგეგმავთ ამ პრობლემების კვლევას ჩვენი მეთოდებით.

ნაშრომში [79] აგებულია კონკრეტული მაგალითები ისეთი პირობითად კრებადი მწკრივებისა სივრცეებში $l_p, 1 \leq p < \infty$, რომლებიც აკმაყოფილებენ (σ, θ) -პირობა მაგრამ არ აკმაყოფილებენ რადემახერის პირობას. ჩვენ ვგეგმავთ ამ ტიპის მწკრივების მაგალითების აგებას სხვა სივრცეებში, მაგალითად c_0, L_p და სხვა.

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ანალიზის კლასიკური შედეგების გავრცელება აბსტრაქტულ ალგებრულ სტრუქტურებში. დამტკიცდა [73], რომ რიმან-დირიხლეს კლასიკური შედეგი უპირობოდ კრებადი რიცხვითი მწკრივების შესახებ სამართლიანია ბევრად უფრო ზოგად შემთხვევაში. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ნებისმიერ ტოპოლოგიზირებულ ნახევარჯგუფში უპირობოდ კრებადი კომპუტირებადი წევრებიანი

მწკრივის ჯამი არაა დამოკიდებული შესაკრებთა რიგზე. **დაგეგმილია** ჯამთა სიმრავლის სტრუქტურის შესწავლა უპირობოდ კრებადი მწკრივებისთვის არაკომუტირებადი შესაკრებებისთვის (არაბელურ) ტოპოლოგიურ ჯგუფებში.

ბ) უნივერსალური მწკრივები ჩვენს მიერ შესწავლილია ნაშრომებში [11, 33, 52]. ამჟამად ჩვენ ვგეგმავთ მივუბრუნდეთ [52] - ში დასმულ ღია ამოცანას: არსებობს თუ არა ყოველ სეპარაბელურ, მეტრიზებად, ტოპოლოგიურ ვექტორულ სივრცეში უნივერსალური მწკრივი? აგრეთვე **დაგეგმილია** მუშაობა **ხ. ბონეტის** შემდეგ შეკითხვაზე: არის თუ არა ნორმირებულ (არასრულ) სივრცეში უნივერსალური მწკრივი აგრეთვე უნივერსალური გასრულებულ სივრცეში?

აგრეთვე განვიხილავთ ფუნქციონალური მწკრივების გადანაცვლებებს ჰოლომორფული ფუნქციების სივრცეში $H(U)$, სადაც $U = \{s \in \mathbb{C}: 0 < \operatorname{Re}(s) \leq 1\}$ კრიტიკული ზოლია. ფიქსირებული ნატურალური რიცხვისთვის n , განვსაზღვროთ U -ზე ჰოლომორფული ფუნქცია $f_n(s) = n^{-s}$. ნაშრომში [59] დავამტკიცეთ, რომ ნიშნებიანი დირიხლეს მწკრივი $\sum \pm f_n(s)$ უნივერსალურია კომპლექსურ ველში ყოველი ფიქსირებული s -თვის, $s \in U$. აქ განვიხილავთ 2 საკითხს:

- აკმაყოფილებს თუ არა მწკრივი $\sum \pm f_n$ (σ, θ) -პირობას კომპაქტურ-ღია ტოპოლოგიაში (ეს ამოცანა დაკავშირებულია ფრემეს ბირთვული სივრცეების ზემოთ აღნიშნულ თვისებებთან).
- არის თუ არა მწკრივი $\sum \pm f_n$ „ლოკალურად უნივერსალური“ ფრემეს ბირთვულ სივრცეში $H(U)$.

3.1.4. ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.

ნაშრომის [44] მიხედვით, ა. კოლმოგოროვმა დასვა შემდეგი ამოცანა:

კოლმოგოროვის ამოცანა (1920): შესაძლებელია თუ არა $L_2[0,1]$ სივრცეში ყოველი უსასრულო ორთონორმირებული (φ_n) სისტემის ისეთი გადანაცვლება, რომ ის გახდეს კრებადობის სისტემა?

ეს პრობლემა შესწავლილი იყო [8]-ში, სადაც გამოყენებული იყო ტერმინი - **კოლმოგოროვის ამოცანა გადანაცვლებებზე**. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ეს ამოცანა დასმული იყო [60]-ში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, ისტორია იწყება **დ. მენშოვის** 1923 წლის ნაშრომით, სადაც ნაჩვენებია, რომ ყველა ორთონორმირებული სისტემა არ არის კრებადობის სისტემა. ქვემოთ მოკლედ მოვიყვანთ ზოგიერთ შედეგს, რომლებიც თანხმობაშია კოლმოგოროვის ამოცანის შესაძლო დადებით გადაწყვეტასთან.

მენშოვის თეორემები. ვთქვათ (φ_n) უსასრულო ორთონორმირებული სისტემაა, (α_n) - სკალართა მიმდევრობა.

- a) ([61, Theoreme II], 1936). ფიქსირებული მიმდევრობისთვის $w_n > 0, w_n \rightarrow \infty$, არსებობს ისეთი გადანაცვლება $\pi: N \rightarrow N$ (შესაძლებელია (w_n) -ზე დამოკიდებული), რომ თუ $\sum_n w_n |\alpha_n|^2 < \infty$, მაშინ $\sum_n \alpha_n \varphi_{\pi(n)}$ იკრებება თ.ყ. $[0,1]$ -ზე;
- b) ([62], 1937). არსებობს ისეთი გადანაცვლება $\pi: N \rightarrow N$, რომ თუ $\sum_n |\alpha_n|^2 < \infty$, მაშინ $\sum_n \alpha_n \varphi_{\pi(n)}$ არის $(C, 1)$ ჯამებადი თ.ყ. $[0,1]$ -ზე;
- c) ([63], 1948). არსებობს ისეთი გადანაცვლება, რომ თუ $\sum_n |\alpha_n|^2 < \infty$, მაშინ მიმდევრობა $\sum_{n=1}^{2^n} \alpha_n \varphi_{\pi(n)}$, $n=1,2,\dots$ იკრებება თ.ყ. $[0,1]$ -ზე.

გარსიას თეორემა ([26], 1964). მოცემული ორთონორმირებული (φ_n) სისტემისათვის და სკალართა (α_n) მიმდევრობისათვის, რომლისთვისაც $\sum_n |\alpha_n|^2 < \infty$, არსებობს ისეთი გადანაცვლება $\pi: N \rightarrow N$, რომ მწკრივი $\sum_n \alpha_{\pi(n)} \varphi_{\pi(n)}$ იკრიბება თითქმის ყველგან $[0,1]$ -ზე. აღვნიშნოთ, რომ ამ თეორემაში გადანაცვლება π არსებითადაა დამოკიდებული (α_n) კოეფიციენტებზე.

გარსიას თეორემის „ნიშნებიანი ანალოგი“ დამტკიცებული იყო **პელი და ზიგმუნდის** ნაშრომში ბევრად ადრე (1930) : გარსიას თეორემის პირობებში, $\theta_n = \pm 1$ ნიშნების სათანადო შერჩევით, მწკრივი $\sum_n \theta_n \alpha_n \varphi_n$ იკრიბება თ.ყ. $[0,1]$ -ზე.

გარსიას თეორემა ეყრდნობა შემდეგ უტოლობას:

გარსიას უტოლობა: ყოველი $\varphi_1, \dots, \varphi_n$ სასრული ორთონორმირებული სისტემისათვის $L_2[0,1]$ -ში და სკალართა ნებისმიერი $\alpha_1, \dots, \alpha_n$ სიმრავლისათვის არსებობს გადანაცვლება $\pi: \{1, 2, \dots, n\} \rightarrow \{1, 2, \dots, n\}$ ისეთი, რომ C აბსოლუტური მუდმივისთვის

$$\int_0^1 \max_{k \leq n} \left| \sum_{i=1}^k \alpha_{\pi(i)} \varphi_{\pi(i)}(t) \right|^2 dt \leq C \sum_{i=1}^n |\alpha_i|^2. \quad (4)$$

შევნიშნოთ, რომ თეორემა 2-ის მაქსიმალური უტოლობა გვაძლევს (4)-ს გაუუმჯობესებადი მუდმივით $C = 4$.

გარსიამ [27], და მოგვიანებით ბურგეინმა [8], აჩვენეს, რომ კოლმოგოროვის ამოცანაზე პასუხი დადებითია, თუ სამართლიანია შემდეგი:

გარსიას ჰიპოთეზა [27]. არსებობს ისეთი აბსოლუტური კონსტანტა C , რომ ყოველი სასრული ორთონორმირებული $\varphi_1, \dots, \varphi_n$ სისტემისათვის მოიძებნება ისეთი $\pi: \{1, 2, \dots, n\} \rightarrow \{1, 2, \dots, n\}$ გადანაცვლება, რომ (4) სამართლიანია სკალართა $\alpha_1, \dots, \alpha_n$ ნებისმიერი კრებულისთვის.

უცნობია, ეკვივალენტურია თუ არა კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა. თანაბრად შემოსაზღვრული $|\varphi_k| \leq M, k = 1, 2, \dots$ ორთონორმირებული სისტემისათვის დამტკიცდა გარსიას ჰიპოთეზის სამართლიანობა უტოლობის მარჯვენა მხარეში დამატებითი $(\log \log n)^2$ მამრავლით [8] (იხ. აგრეთვე [64, 65]). მენშოვის და გარსიას თეორემები კომენტირებულია [66]-ში, სადაც აგრეთვე წერია: „შევნიშნოთ, რომ საკითხი ყოველი ო.ნ.ს.-თვის ისეთი გადანაცვლების არსებობისა, რომ ახალი სისტემა კრებადობის სისტემა იქნება, ჯერ კიდევ ღიაა.“ საკითხი ღიად რჩება დღეისთვისაც, თითქმის 30 წლის მერე (იხ. აგრეთვე [67, 68]).

ეს ამოცანები, დიდი ხანია ჩვენი გუნდის კვლევით ინტერესს წარმოადგენს. შემდეგი დებულება შეიძლება ჩაითვალოს კოლმოგოროვის ამოცანის “თითქმის ყველგან” ამოხსნად.

თეორემა [31]. ვთქვათ (φ_n) ორთონორმირებული სისტემაა და P ალბათური ზომა ბორელის σ -ალგებრაზე l_2 -ში. მაშინ არსებობს გადანაცვლება $\pi: N \rightarrow N$ და l_2 -ის ქვესივრცე L ისეთი, რომ $P(L) = 1$ და ყოველი მიმდევრობისთვის $(\alpha_n) \in L$, მწკრივი $\sum_n \alpha_n \varphi_{\pi(n)}$ კრებადია თითქმის ყველგან $[0,1]$ -ზე.

გადაწვლვებთან დაკავშირებულ ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანებში საკვანძო როლს თამაშობს გადანაცვლება (1) და (2) უტოლობებში. პროექტში ჩვენ შევეცდებით იგივე მეთოდის მოდიფიკაციის გამოყენებას კოლმოგოროვის ამოცანისა და მასთან დაკავშირებული გარსიას ჰიპოთეზის ანალიზისთვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ბოლოდროინდელ ნაშრომებში [71, 72].

დაგეგმილია:

- a) გარსიას ჰიპოთეზასა და კოლმოგოროვის ამოცანას შორის დამოკიდებულების დადგენა;
- b) სასრული ორთონორმალური სისტემების შემთხვევაში მაქსიმალური უტოლობების მიღება. საუკეთესო გადანაცვლების ცნების შემოღება; იმ კომბინატორული პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც შესაძლოა დაისვას კვლევის პროცესში.

3.1.5. ტრიგონომეტრიული მწკრივი. ულიანოვის ამოცანა

ნაშრომში [51] დაისვა შემდეგი ამოცანა: ვთქვათ $f: R \rightarrow R$ არის უწყვეტი, 2π - პერიოდული ფუნქცია და $f \sim \sum_{n=0}^{\infty} A_n$ მისი ტრიგონომეტრიული ფურიეს მწკრივია, სადაც $A_n(x) = c_n \cos(nx + \theta_n)$ არსებობს თუ არა მისი ისეთი გადანაცვლება $\sum_{n=0}^{\infty} A_{\sigma(n)}$, რომელიც იკრიბება f - სკენ თანაბრად?

ნაშრომში [75] მიღებულია ამ ამოცანის შესაძლო დადებითად გადაწყვეტის მიმანიშნებელი პირველი შედეგი, კერძოდ აგებულია ისეთი უწყვეტი, 2π -პერიოდული ფუნქცია f , რომლის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი არ იკრიბება f -კენ ზოგიერთ წერტილში, თუმცა გადანაცვლებული მწკრივი იკრიბება f -კენ თანაბრად.

ნაშრომებში [46, 47] თეორემა 2 - ის მსგავსი ტექნიკის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ $\sum_{n=0}^{\infty} A_n r_n$ მწკრივის კრებადობა იწვევს დადებით პასუხს ულიანოვის კითხვაზე (იხ. აგრეთვე [45]). თეორემა 2 გვაძლევს რევესის პირობის შესუსტების საშუალებას, კერძოდ მისი შეცვლა შეიძლება (σ, θ) -პირობით [20]: ყოველი $\sigma: N \rightarrow N$ -თვის არსებობს ისეთი ნიშნები $\theta_n = \pm 1, n = 1, 2, \dots$, რომ თანაბრად იკრიბება მწკრივი $\sum_{n=0}^{\infty} A_{\sigma(n)} \theta_n$.

შევნიშნოთ, რომ [37]-ში ნაპოვნია საკმარისი პირობა ფუნქციის უწყვეტობის მოდულის ტერმინებში, სადაც გამოყენებულია უტოლობა (3). ულიანოვის ამოცანას ეხება ნაშრომები [69, 70].

ჩვენ ვგეგმავთ დავადგინოთ, არის თუ არა (σ, θ) -პირობა აუცილებელი (ს. რევესმა კონტრმაგალითის საშუალებით აჩვენა, რომ რადემახერის მწკრივის კრებადობა არ არის აუცილებელი პირობა).

3.1.6. გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში

პროექტის ამ ნაწილის იდეები და საკითხები შემოტანილი და დამუშავებულია კოლეგებთან ერთად მიჩიგანის (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტიდან [22,23,24].

არსებობს შემთხვევითი მიმდევრობების (პროცესების) მრავალი მაგალითი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ გაძლიერებულ დიდ რიცხვთა კანონს (SLLN), მაგრამ აკმაყოფილებენ მას გადანაცვლების შემთხვევაში. თავისთავად ეს ლამაზი თეორიაა. ამავე დროს მას შეიძლება ჰქონდეს გამოყენებები ბუტსტრაპის (*bootstrap*) თეორიაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სტატისტიკოსის განკარგულებაშია მხოლოდ ერთი დიდი შერჩევა.

ამ ნაწილში დაგეგმილი გვაქვს:

- შემთხვევით სიდიდეთა მიმდევრობების ისეთი არსებითი მაგალითების აგება, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SLLN, მაგრამ აკმაყოფილებენ მას გარკვეული გადანაცვლების შემდეგ;
- გადანაცვლებისათვის SLLN-ის და განმეორებითი ლოგარითმის კანონების სამართლიანობის პირობების დადგენა;
- გამოყენებები ბუტსტრაპინგში.

3.1.7. CVS განრიგების თეორიაში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიაში, მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობაში

ჩამოთვლილთაგან თითოეულ დისციპლინაში საქმე გვაქვს ამოცანებთან, რომელთაც აქვთ შემდეგი ქვეამოცანა როგორც ძირითადი ნაწილი, რომელსაც ხშირად **ვექტორთა კომპაქტური შეჯამების (CVS)** ამოცანას უწოდებენ: ვთქვათ, $x_1, \dots, x_n$ არის ნორმირებული სივრცის ელემენტთა ისეთი კრებული, რომ $\sum_{i=1}^n x_i = 0$. ამოცანა მდგომარეობს ოპტიმალური (ან ოპტიმალურთან ახლოს მყოფი) ისეთი π_0 გადანაცვლების პოვნაში, რომელიც მინიმუმს ანიჭებს ფუნქციონალს

$$F(\pi) = \max_{1 \leq k \leq n} \left\| \sum_{i=1}^k x_{\pi(k)} \right\|.$$

მაგალითებისთვის იხ. [1, 7, 35, 42]. ყოველი მათგანი იყენებს თეორემებს 1 და 2 და უწოდებს მათ ჩოხანიანის გადატანის თეორემას. თეორემა 1 გვკარნახობს თვით ალგორითმს [12, 13]. π_0 გადანაცვლების პოვნის მთავარი იდეაა თეორემა 1-ის გამოყენებით, ამოცანის დაყვანა ვექტორ-თა ყოველი გადანაცვლებისთვის ნიშანთა ოპტიმალური კრებულის პოვნის ამოცანაზე. შემდგომ ეტაპზე ნიშანთა ამოცანა შესაძლებელია ამოიხსნას შესაბამისი პოლინომიალური ალგორითმებით [5, 48]. შევნიშნოთ, რომ ხარბი ალგორითმი არ მუშაობს [10].

დიდი მონაცემებისათვის (big data) ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ალგორითმში შესაძლებლად მიგვაჩნია პარალელური გამოთვლების გამოყენება. ამ მიმართულებით ინსტიტუტში არსებობს გამოთვლითი რესურსები, კერძოდ მაღალი წარმადობის ჰეტეროგენული სერვერი და კომპიუტერული კლასტერი პარალელური დაპროგრამებისთვის (იხ. პუნქტი 1.6).

დაგეგმილია, თეორემა 1-ზე დაყრდნობით შესაბამისი CVS ალგორითმების აგება და პროგრამების შექმნა:

- a) დისკრეტულ ამოცანებში, როგორცაა განსხვავებათა და განრიგების თეორიის ამოცანები;
- b) მანქანური სწავლების და სახეთა ამოცნობის ამოცანებში (მაგ. herding-ალგორითმი);
- c) მიღებული ალგორითმების გაპარალელება.

ამოცანა 3.2. ალბათური განაწილებები ალგებრულ სტრუქტურებში

ამ მიმართულებით დაგეგმილია 2 ქვეამოცანაზე მუშაობა.

3.2.1. დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის

ალბათობის თეორიაში დიდ რიცხვთა კანონი არის პრინციპი, რომელიც აღწერს ერთი და იგივე ექსპერიმენტის შედეგს მისი მრავალჯერ განმეორებისას. ამ კანონის თანახმად, ფიქსირებული განაწილებიდან სასრულო შერჩევის საშუალო მნიშვნელობა ახლოს არის ამ განაწილების მათემატიკურ მოლოდინთან. დიდ რიცხვთა კანონით პირველად იტალიელი მათემატიკოსი, ინჟინერი, ფილოსოფოსი, ექიმი და ასტროლოგი ჯიროლამო კარდანო დაინტერესებულა, რომელიც თავის წიგნში „აზარტული თამაშების შესახებ“ (*De Ludo alea*, 1563) წერდა, რომ „...ემპირიული სტატისტიკის სიზუსტე, როგორც წესი, უმჯობესდება ჩატარებული ექსპერიმენტების რაოდენობების გაზრდით.“ მიუხედავად ამისა ითვლება, რომ დიდ რიცხვთა კანონის შესწავლა დაიწყო გამოჩენილი შვეიცარიელი მათემატიკოსის იაკობ ბერნულის მიერ, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

დიდ რიცხვთა კანონის თავდაპირველი ვერსიები, რომელთაც იკვლევდნენ ცნობილი მეცნიერები: ბერნული, პუასონი, ჩეზიშევი და ა.შ. დამოუკიდებელ შემთხვევებს შეეხებოდა. არადამოუკიდებელი შემთხვევა, როგორც ჩანს, პირველად უფროს ა. მარკოვს აქვს განხილული. ამ მიმართულებით ჩვენი ყურადღება გამოჩენილი რუსი მათემატიკოსის, ალექსანდრე ხინჩინის ერთმა ნაშრომმა მიიპყრო, რომელც მან 1928 წელს გამოაქვეყნა. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში დავინტერესდით ამ თემატიკით და ინტენსიური მუშაობის შედეგად ა. ხინჩინის შედეგი განვაზოგადეთ ჰილბერტის სივრცის შემთხვევაში; ხოლო მიმდინარე წელს ჩვენს მიერ მიღებული შედეგი სუსტად

კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისათვის გამოქვეყნდა „ლიტუვის მათემატიკურ ჟურნალში“ [77]. ამჯერად დაგეგმილი გვაქვს აღნიშნული კვლევის გაგრძელება სასრული კოტიპის მქონე უპირობო ბაზისიან სივრცეებში, რომლებიც წარმოადგენენ $l_p, 1 \leq p < \infty$, სივრცეების ბუნებრივ გაფართოებას. კვლევაში ჩართული იქნება განყოფილების თითქმის ყველა თანამშრომელი.

3.2.2. სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში

სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდის ცნება პირველად ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ჟ.პ. კახანმა შემოიტანა [80], რომელმაც ძალიან მალე ფართო გავრცელება ჰპოვა. შემდგომში სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეები და პროცესები მრავალ ავტორს აქვს განხილული. მიუხედავად იმისა, რომ სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეები და პროცესები საკმაოდ ფართო სპექტრს ქმნიან, ისინი, გარკვეული აზრით, ახლოს დგანან გაუსის შემთხვევით სიდიდეებთან და პროცესებთან.

ξ -ს ეწოდება სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდე, თუ არსებობს ისეთი რიცხვი $a \geq 0$, რომ ყველა ნამდვილი $t \in \mathbb{R}^1$ რიცხვისათვის სრულდება უტოლობა

$$\mathbb{E} e^{t\xi} \leq e^{\frac{1}{2}a^2 t^2},$$

სადაც $\mathbb{E}$ არის მათემატიკური მოლოდინის სიმბოლო.

რიცხვს

$$\tau(\xi) = \inf \left\{ a \geq 0, \quad \mathbb{E} e^{t\xi} \leq e^{\frac{1}{2}a^2 t^2}, \quad \text{ყოველი } t \in \mathbb{R}^1 - \text{თვის} \right\}$$

ეწოდება ξ შემთხვევითი სიდიდის გაუსის სტანდარტი. ცხადია, რომ ξ არის სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდე მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\tau(\xi) < \infty$. განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ξ სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური მოლოდინი არის ნულის ტოლი და $\mathbb{E} \xi^2 \leq \tau^2(\xi)$.

მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ვაპირებთ სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების (ვექტორების) შემდგომ კვლევას მნიშვნელობებით უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში. ვთქვათ, X არის უსასრულოგანზომილებიანი ბანახის სივრცე და X^* არის მისი ტოპოლოგიური შეუღლებული. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უსასრულოგანზომილებიან შემთხვევაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების ცნების მიმართ. მაგალითად, ნაშრომში [81] ξ შემთხვევით ელემენტს მნიშვნელობებით X ბანახის სივრცეში ეწოდება სუბგაუსის (შემდგომში T -სუბგაუსის), თუ არსებობს X -ში მნიშვნელობების მქონე გაუსის რაიმე შემთხვევითი ელემენტის კოვარიაციული ოპერატორი $R: X^* \rightarrow X$ ისეთი, რომ ყოველი $x^* \in X^*$ -სთვის სრულდება უტოლობა:

$$\mathbb{E} e^{\langle x^*, \xi \rangle} \leq e^{\frac{1}{2}a^2 \langle Rx^*, x^* \rangle}.$$

ნაშრომში [82] ξ შემთხვევით ელემენტს მნიშვნელობებით X ბანახის სივრცეში ეწოდება სუბგაუსის (შემდგომში F -სუბგაუსის), თუ არსებობს რიცხვი $C > 0$ ისეთი, რომ ნებისმიერი $x^* \in X^*$ -სთვის სრულდება უტოლობა:

$$\mathbb{E} e^{\langle x^*, \xi \rangle} \leq e^{\frac{C^2}{2} \langle R_\xi x^*, x^* \rangle},$$

სადაც R_ξ არის ξ შემთხვევით ელემენტის კოვარიაციული ოპერატორი.

სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტის ცნება პირველად ნახსენებია ნაშრომში [83]. ξ შემთხვევით ელემენტს მნიშვნელობებით X ბანახის სივრცეში ეწოდება სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი, თუ $\langle x^*, \xi \rangle$ არის სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდე ნებისმიერი $x^* \in X^*$ -სთვის. ჩვენი სემინარის მონაწილეების მიერ საკმაოდ დაწვრილებით იქნა შესწავლილი სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეები [84].

შედარებით ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში [85] განხილულია T -სუბგაუსის და სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტები. კერძოდ, დახასიათებულია ის სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტები, რომლებიც არიან T -სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტები უსასრულოგანზომილებიან ბანახის და ჰილბერტის სივრცეებში. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი შედეგი ამ ნაშრომიდან:

თეორემა. ვთქვათ, ξ არის სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი მნიშვნელობებით სეპარაბელურ H ჰილბერტის სივრცეში და (φ_k) არის H -ის ნებისმიერი ორთონორმირებული ბაზისი. მაშინ ξ არის T -სუბგაუსის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $\sum_{k=1}^{\infty} \tau^2(\varphi_k, \xi) < \infty$.

გაუსის ცენტრირებული შემთხვევითი ელემენტის განაწილება ცალსახად განისაზღვრება თავისი კოვარიაციული ოპერატორით. გაუსის კოვარიაციული ოპერატორების აღწერის მიმართულებით ჩვენი სემინარის მონაწილეების მიერ მიღებული შედეგები კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისათვის. გაუსის განაწილების ანალოგიით აქ შეიძლება დაისვას სუბგაუსის განაწილების დახასიათების ამოცანა. მაგრამ სუბგაუსის შემ

თხვევითი ელემენტის განაწილება მხოლოდ კოვარიაციული ოპერატორით არ ხასიათდება. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ თეორემაში ჰილბერტის სივრცეში მნიშვნელობების მქონე T -სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი დახასიათებულია გაუსის სტანდარტის ტერმინებში. აქ აგრეთვე შეიძლება დაისვას სუბგაუსის შემთხვევით ელემენტთა კოვარიაციული ოპერატორების კლასის აღწერის ამოცანა, რაც ასევე საკმაოდ რთული ამოცანაა, რასაც ადასტურებს გაუსის ზომების შემთხვევა. როგორც ცნობილია, გაუსის ზომების დახასიათების ამოცანა ჯერ კიდევ გადაუჭრელია ზოგად ბანახის სივრცეში. დადებითი შედეგები ცნობილია ზოგიერთ კონკრეტულ სივრცეში (ასეთ სივრცეებად, მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ჰილბერტის სივრცე, L_p -სივრცეები, $1 \leq p < \infty$).

5. Zacks, S. and Ramig, P. F. (1987). Confidence Intervals for the Common Variance of Equicorrelated Normal Random Variables, in *Contributions to the Theory and Applications of Statistics*, volume in honor of Herbert Solomon, Gelfand, A. E., ed., pp. 511–544, New York: Academic Press.
6. Aoki M. Control of large-scale dynamic systems by aggregation//*IEEE Trans. Automat. Control*. 1968. V. AC-13. № 3. P. 246–253.
7. Dele bee que F., Quadrat J. P., Kokotovic P. V. A unified view of aggregation and coherency in networks and Markov chains // *Int. J. Control*. 1984. V. 40. № 5. P. 939–952.
8. Королюк В. С., Турбин А. Ф. Математические основы фазового укрупнения сложных систем. Киев: Наук, думка, 1978.
9. Гайцгори В. Г., Первозванский А. А. Агрегирование состояний в марковской цепи со слабым взаимодействием // *Кибернетика*. 1975. № 3. С. 91–98.
10. Первозванский А. А., Гайцгори В. Г. Декомпозиция, агрегирование и приближенная оптимизация. М.: Наука, 1979.
11. Prangishvili, A., Gasitashvili, Z., Pkhovelishvili, M., Archvadze, N., Predicting Events by Analyzing the Results of the Work of Predictive Models, *Communications in Computer and Information Science*. Springer, 2022, 1562 CCIS, pp. 64–78.
12. Gasitashvili, Z., Pkhovelishvili, M., Archvadze, N., Reducing Risks through Improvement of Prediction Models // *Reliability: Theory and Applications*, 2022, 17, pp. 197–202.

13. Gasitashvili, Z., Pkhovelishvili, M., Archvadze, N., Prediction of Events Means of Data Parallelism, Proceedings - Mathematics and Computers in Science and Engineering, MACISE 2019, 2019, pp. 32–35.
14. Klaus Waldschmidt, Jan Haase, Andreas Hofmann, Markus Damm, Dennis Hauser. Reliability-Aware Power Management Of Multi-CoreSystems (MPSoCs). Technische Informatik, J. W. Goethe Universitat Post Box 11 19 32, 60054 Frankfurt a. M., Germany, 2006.
15. Arun K. Kanuparthi, Ramesh Karri. Reliable Integrity Checking in Multicore Processors. 2015, ACM Trans. Architek. Code Optim. 12,2, Article 10 (May 2015), 23 pages.
16. Ajeya Naithani, Stijn Eyerman, Lieven Eeckhout. Reliability-Aware Scheduling on Heterogeneous Multicore Processors. 2017 IEEE International Symposium on High Performance Computer Architecture (HPCA), 2017.
17. Sergo Tsiramua. System reliability: Organizational design of highly reliable human-machine systems based on multi-functional operators. Ed. Lambert Academic Publishing, 2017. Book (Rus), 207 pp.
18. Ryabinin I.A. Reliability and Safety of Structural Complex Systems. - St.Petersburg, - Politehnika (Rus), 2000, - 248 p.
19. C. Hakansson, M. Nelke. Competitive Intelligence for Information professionals. 2015. Elseiver Ltd. ISBN: 978-0-08-100206-3.
20. A. D'Atri, M. De Macro, N. Casalino. Interdisciplinary Aspects of Information Systems Study. 2008. Physica-Verlag Heidelberg. ISBN 978-3-2009-6.
21. K. Koberidze. Elaboration of Model for Information Support of Startup (the case of Georgia). Doctoral thesis in Business Administration. IBSU. 2021.
22. P. Desfray, G. Raymond. Modeling Enterprise Architecture with TOGAF. 2014. Elsevier Inc. ISBN: 978-0-12-419984-2.
23. Gordeziani, D., Meladze, H. On some parallel algorithms for approximate solution of problems of mathematical physics (Book Chapter) // Information and Computer Technologies - Theory and Practice: Proceedings of the International Scientific Conference ICTMC-2010 Devoted to the 80th Anniversary of I.V. Prangishvili, Nova Science Publishers, USA, pp. 451-471.
24. F.Criado-Aldeanueva, T.Davitashvili, H.Meladze, P.Tsereteli, J.M.Sanchez. Three-Layer Factorized Difference Schemes and Parallel Algorithms for Solving the System of Linear Parabolic Equations with Mixed Derivatives and Variable Coefficients // Applied and Computational Mathematics, 2016, V.15, #1, pp.51-66.
25. T. Davitashvili, H.Meladze, N.Skhirtladze. About One Parallel Algorithm of Solving Non-Local Contact Problem for Parabolic Equations. 11th International Conference on Computer Science and Information Technologies - CSIT'2017, September 25-29, Yerevan, Armenia. pp. 328-332.
26. T.Davitashvili, H.Meladze. Some Algorithms of Solving the Systems of Nonlinear Algebraic Equations on Parallel Computing Systems // Information and Computer Technology, Modeling and Control, Series: Computer Science, Technology and Applications, Book Chapter #7, NOVA Science Publishers, USA, 2017.
27. Devadze D., Meladze H., Algorithm of Solution an Optimal Control Problem for Elliptic Differential Equations with m-Point Bitsadze-Samarski Conditions, 2018 IEEE East-West Design & Test Symposium (EWDTS), 14-17 Sept. 2018, <https://ieeexplore.ieee.org/document/8524775> (DOI: 10.1109/EWDTS.2018.8524775).
28. Hamlet Meladze and Marina Abashidze. Optimality Conditions for m-point Nonlocal Boundary Value Problems // Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 12, no.2, 2018, pp.7-12, <http://science.org.ge/bnas/vol-12-2.html>.
29. T. Davitashvili, H. Meladze, Non-local Contact Problem for Linear Differential Equations with Partial Derivatives of Parabolic Type with Constant and Variable Coefficients // Lecture Notes of TICMI, Vol. 22, 2021, 73–90, <http://www.viam.science.tsu.ge/others/ticmi/lnt/vol22/articles.htm>

30. Tinatin Davitashvili, Hamlet Meladze, Francisco Criado-Aldeanueva, Jose Maria Sanchez, "On One Generalization of the Multipoint Nonlocal Contact Problem for Elliptic Equation in Rectangular Area", *Journal of Mathematics*, vol. 2022, Art. ID 2787606, 13 pages, 2022. doi.org/10.1155/2022/2787606.

2.3 პროექტის არსი და მეცნიერული ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტი მიზნად ისახავს თეორიული და გამოყენებითი დანიშნულების ამოცანების კვლევას, სათანადო გამოთვლითი მეთოდების შექმნას, სრულყოფას და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებას, დამუშავებასა და დანერგვას.

პროექტის შედგენისას მხედველობაში იქნა მიღებული ახალი გარემოება – ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე მძლავრი ჰეტეროგენული სერვერის გამართვის და აპარატურული გაუმჯობესების პროექტი, რაც მოგვცემს შესაძლებლობას დავსვათ და მათემატიკურად გადავწყვიტოთ ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, განვახორციელოთ ახალი ტექნოლოგიური დარგები, დავუთმოთ დიდი გამოთვლითი რესურსები მეცნიერების წინაშე მდგარ თანამედროვე ამოცანებს და ა. შ. ამდენად, ჩვენი პროექტი ორიენტირებულია როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი ამოცანების კვლევაზე, შესაბამისი მათემატიკური მოდელების და გამოთვლითი ალგორითმების აგებაზე, ანალიზსა და რეალიზაციაზე.

პროექტი მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას. მიუხედავად, გარკვეული აზრით, საერთო მიზნებისა, თითოეულ მათგანს აქვს თავისი დარგობრივი სპეციფიკა. უფრო მეტიც, პროექტში თავმოყრილია მათემატიკის და კომპიუტრული მეცნიერებების რამდენიმე დარგი, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ განსხვავებულ ქვემიმართულებებს, ამოცანებს. ამის გამო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ცალ-ცალკე განგვეხილა თითოეული მათგანის არსი და მეცნიერული ღირებულება.

მიმართულება 1

პროექტში ამ მიმართულებაში აღწერილი კვლევების არსს წარმოადგენს ეფექტური რიცხვითი მეთოდების დამუშავება იმ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანებისთვის, რომელთაც ფართო გამოყენება გააჩნიათ ფიზიკასა და საინჟინრო მექანიკაში.

პროექტში დაგეგმილი კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები უდავოდ მიიქცევა მათემატიკოსების, მექანიკოსების, ფიზიკოსების, ინჟინერ-მკვლევარებისა და მომიჯნავე სფეროებში მოღვაწე სპეციალისტების ყურადღებას მათი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო.

თეორიული თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ის მოსალოდნელი შედეგები, რაც უკავშირდება პროექტში განხილული განტოლებების რიცხვით ამოხსნებს. კერძოდ, აქ წარმოდგენილი კომის ტიპის სინგულარული ინტეგრალური განტოლებებისთვის, ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის სივრცითი სასაზღვრო ამოცანებისთვის, ფენოვანი გარსების საინჟინრო გათვლებისთვის, აგებული, შესწავლილი და მათემატიკურად დაფუძნებული იქნება ახალი, გამოსაყენებლად მოსახერხებელი გამოთვლითი სქემები და რიცხვითი მეთოდები, რაც ბუნებრივია განსაზღვრავს პროექტის მეცნიერულ ღირებულებას.

პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით საკმარისია ითქვას, რომ როგორც ზევით იქნა აღნიშნული, აქ განხილული ამოცანებიდან ზოგიერთი აღწერს მნიშვნელოვან ფიზიკურ პროცესებს, ხოლო რიგი ამოცანებისა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა საინჟინრო კონსტრუქციის, მოწყობილობისა თუ დეტალის რიცხვითი გაანგარიშების პრობლემატიკასთან.

მიმდინარე წელს აღნიშნულ მიმართულებას დაემატა ახალი თემატიკა, რაც მდგომარეობს კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო, თავდაცვის, სატრანსპორტო ქსელების, გაზისა და ნავთობის მილსადენებისა და სხვა მსგავსი ტექნიკური სისტემების სტრუქტურული მართვის მათემატიკური მეთოდების დამუშავებაში. შესაბამისად, თემატიკას გააჩნია გამოკვეთილად გამოყენებითი ხასიათი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის პროექტის ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევების პრაქტიკულ ღირებულებას.

მიმართულება 2

მიკროეკონომიკის უმეტესი დარგებისათვის ზოგად მეთოდოლოგიურ ფუნდამენტს წარმოადგენს თამაშთა თეორია. წინა წლებში დამუშავებული იყო მატრიცულ თამაშთა ამოხსნის ახალი მეთოდები. მომავალ ხუთწლედში განზრახულია უწყვეტ სტრატეგიულ თამაშთა რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების დამუშავება. ეს პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. „თამაშებისათვის ბუნების წინააღმდეგ“, სადაც, როგორც წესი, „ბუნების“ სტრატეგიათა სიმრავლე უსასრულოა, ხოლო „სტატისტიკოსის“ კი სასრული. უსასრულო ანტაგონისტურ თამაშთა ამოხსნა ბუნებრივად უკავშირდება მათ მიახლოებას მართკუთხა ანუ მატრიცული თამაშებით. საკითხი მიდის ფუნქციათა თეორიის ამოცანამდე, ფუნქციათა აპროქსიმაციაზე დისკრეტული ფუნქციებით. ასეთი საკითხები ხშირია მათემატიკური ეკონომიკის, კერძოდ მართვის და გაადგილების ამოცანებში.

მთელრიცხვა დაპროგრამების ამოცანებს ფართო გამოყენება აქვთ კრიპტოგრაფიაში, რესურსთა ოპტიმალური განაწილების და სხვა დარგებში. რიცხვითი სიმრავლის სასრული ქვეჯამების პრობლემები ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემებია და არის NP-რთული .

კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანა განეკუთვნება ე.წ. შებრუნებული ამოცანების კლასს. საზოგადოდ, შებრუნებული ამოცანის ამოხსნა გულისხმობს გაირკვეს უცნობი მიზეზი დაკვირვების შედეგად მიღებული ეფექტების საფუძველზე. შებრუნებული

ტიპისაა რენტგენოდიაგნოსტიკის, რადიოასტრონომიის, ასტროფიზიკის, გეოფიზიკის, ბიო ქიმიის, ტექნიკის მრავალი პრაქტიკული ამოცანა. უაღრესად მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტომოგრაფიის და საერთოდ არაკორექტული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების დამუშავება. ამით არის განპირობებული ინტერესი ტიხონოვ-ფილიპსის მეთოდის განზოგადებისა და წრფივი, სპლაინური, ცენტრალური ალგორითმების აგების ამოცანის შესწავლისადმი სასრულო ორბიტების ჰილბერტის და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში. მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული წრფივი განზოგადებულად ცენტრალური სპლაინური ალგორითმები არსებითად ეფექტურს გახდის ტომოგრაფის მუშაობას და სასარგებლო იქნება აგრეთვე შებრუნებული ამოცანების ამოსახსნელად. ვფიქრობთ, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სამედიცინო დარგისთვის.

ამოცანა 2.3-ში კვლევები წარიმართება მრავალგანზომილებიანი კვანტური ოსცილატორისა და შრედინგერის განტოლებების კვლევის მიმართულებით. დასახულია წრფივი, სპლაინური, ცენტრალური ალგორითმების აგება აღნიშნული განტოლებების მიახლოებითი გამოთვლებისათვის სასრული ორბიტების ჰილბერტის და ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში. ანალოგიური ამოცანა შეისწავლება მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის შესაბამისი ორბიტალური ოპერატორების შემცველი განტოლებისათვის. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ჰილბერტის ან ბანახის სივრცეში განსაზღვრული გარკვეული თვისებების მქონე ოპერატორის შემცველი არაკორექტული განტოლების გადატანით ამ ოპერატორის ყველა ორბიტის ფრეშეს სივრცეში, მიიღწევა მიღებული განტოლების სტაბილურობა.

2.2 და 2.3 ამოცანების შემსრულებელი მეცნიერების ძირითადი სამეცნიერო ინტერესებია: ცენტრალური (ძლიერად ოპტიმალური) ალგორითმების ზოგადი თეორია, აპროქსიმაციის თეორია, მათემატიკური ფიზიკის შებრუნებული ამოცანები. კვლევითი თემატიკის მიმართულებით მათ მიერ მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები: აგებულია წრფივი განზოგადებულად სპლაინური და ცენტრალური ალგორითმები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა კომპიუტერული ტომოგრაფის ახალი მათემატიკური მოდელები, რომელშიც მონაწილე სივრცეები, მეტრიკა, ნორმები, ოპერატორები, მიახლოების მეთოდები სრულიად განსხვავებულია არსებულისაგან;

ამოცანა 2.4-ის მიზანია საწყისი, მახასიათებელი, დარბუს და კოშის შებრუნებული ამოცანების კორექტულად დასმა და შესწავლა, არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება ეილერ-დარბუსა და ბორნ-ინფელდის განტოლებათა კლასებში შემავალი ზოგიერთი განტოლებისათვის. კვლევის ობიექტებად შერჩეულია ეილერ-დარბუსა და ბორნ-ინფელდის კლასის განტოლებები, რომლებიც მეორე რიგის ნამდვილმახასიათებლიანი კვაზიწრფივი განტოლებებია, მათი მთავარი კოეფიციენტები სამიებული ამონახსნისა და მისი უმცროსი წარმოებულების ფუნქციებია. ყოველი მათგანი არამკაცრადაა ჰიპერბოლური. მახასიათებლებიც და პარაბოლური გადაგვარების წერტილთა სიმრავლეც სამიებელმა ამონახსნით განისაზღვრება. გამორიცხული არაა პარაბოლური გადაგვარების ეფექტიც. მათემატიკური მოდელირების იმ ამოცანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ ან კერძოწარმოებულთან დიფერენციალური

განტოლებებთან ან განტოლებათა სისტემებთან, განხილული იქნება მიახლოებითი ალგორითმების შერჩევა და მათი თვისებების კვლევა.

ასევე, განიხილება რამდენიმე ამოცანის (მელის რხევის, დიფუზიის) მათემატიკური მოდელი, რომელთა მიახლოებითი ალგორითმების შერჩევასა და მათი თვისებების კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამოყენებული ალგორითმების ეფექტურობის შემოწმება იგეგმება ტესტურ მაგალითებზე.

პროექტის შესრულების მოსალოდნელი შედეგები ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იქნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ასევე, მომავალში შესაძლებელი იქნება მათი მართვის ამოცანებთან დაკავშირებაც და ამ კუთხითაც ჩნდება პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივები.

მიმართულება 3

ამოცანაში 3.1 დაგეგმილი ამოცანები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში მოიაზრება ანალიზის კლასიკური ამოცანები, როგორცაა პირობით კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურის კვლევა, დიდი ხნის წინ დასმული, ჯერ კიდევ გადაუჭრელი კოლმოგოროვ-გარსიას ჰიპოთეზა ორთოგონალური მწკრივების თითქმის ყველგან კრებადობაზე, ულიანოვის ასევე ძველი, დღემდე გადაუჭრელი ამოცანა ტრიგონომეტრიული ფურიეს მწკრივების თანაბრად კრებადობაზე და ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული სხვა ამოცანები.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება გამოყენებითი ხასიათის, შედარებით ახალი, თანამედროვე ამოცანები სტატისტიკიდან და შემთხვევითი პროცესებიდან, დაგეგმვის თეორია, დიდ მონაცემთა ანალიზი (big data), უთანადობათა (discrepancy) თეორია, მანქანური სწავლება. ამ ამოცანებში იგეგმება ეფექტური ალგორითმების შექმნა.

კვლევები ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით დამყარებულია ვექტორული შესაკრებების გადანაცვლებებთან დაკავშირებულ მაქსიმალურ უტოლობებზე. აქ კვლევის ძირითადი ინსტრუმენტია ჩვენ მიერ მიღებული, გადატანის ლემის სახელით ცნობილი უტოლობა და მისი მოდიფიკაციები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ფართოდაა ცნობილი შესაბამისი თემატიკის სამეცნიერო ლიტერატურაში.

აქ დაგეგმილია 7 ამოცანის შესრულება, რომლებიც დაყოფილია ქვეამოცანებად. ამოცანები ისეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული, რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია პარალელურად შესრულდეს, სხვა ამოცანების შესასრულებლად კი წინა ამოცანის დასრულებაა საჭირო. გეგმის განხორციელება გაწერილია 5 წელზე (იხ. ცხრილები ქვემოთ).

პროექტი შეიცავს ამოცანებს მრავალი განსხვავებული სფეროდან. ზოგიერთი მათგანის გადაჭრა (მაგ. კოლმოგოროვ-გარსიას ჰიპოთეზა), ან თუნდაც არსებული შედეგების ოდნავი გაუმჯობესებაც კი საკმაოდ რთულია და ამავე დროს პრესტიჟულიც. ოცდამეერთე

საუკუნის გამოწვევების თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია გამოყენებითი ამოცანები. პროექტში ჩამოთვლილი ამოცანები ამ მიმართულებითაც საკმაოდ პრესტიჟულია და შესაბამისი დარგებისთვის დამახასიათებელი სირთულეებიც ახლავს. თუმცა, ჩვენი მეთოდები წარმატების იმედს იძლევა.

ამოცანა 3.2 ეხება ალბათობის თეორიის კლასიკურ პრობლემებს: დიდ რიცხვთა კანონს და სუბგაუსის ზომების დახასიათების ამოცანას ბანახის სივრცეებში.

დიდ რიცხვთა კანონი ალბათობის თეორიის ზღვარიანი თეორემების ერთ-ერთ პოპულარულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ცნობილი იტალიელი მათემატიკოსი ჯ. კარდანო დამტკიცების გარეშე აღნიშნავდა, რომ ემპირიული სტატისტიკის სიზუსტე უმჯობესდება ცდის რაოდენობის გაზრდასთან ერთად. შემდგომში ამ წინადადების ფორმალიზება მოხდა დიდ რიცხვთა კანონის სახით, რომლის პირველი მკაცრი მათემატიკური დამტკიცება ეკუთვნის ი. ბერნულის და ფართოდ არის ცნობილი ბერნულის თეორემის სახელით. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ეს თეორემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ს. პუასონმა, რომელმაც პირველმა უწოდა მას „დიდ რიცხვთა კანონი“. ბერნული და პუასონის შემდეგ ალბათობის თეორიის თითქმის ყველა კლასიკოსს აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი დიდ რიცხვთა კანონის შემდგომი დაზუსტების მიმართულებით. მოგვიანებით დიდ რიცხვთა კანონის შესწავლა დაიწყო დამოკიდებული შემთხვევითი სიდიდეებისათვისაც. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი შედეგი მიღებული აქვს გამოჩენილ მათემატიკოსს ა. ხინჩინს, რომელმაც გარკვეული ბიძგი მისცა ჩვენს კვლევებს და ამ მიმართულებით ჩვენს მიერ მიღებული ერთი შედეგი გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. დაგეგმილი გვაქვს კვლევების გაგრძელება აღნიშნული თემატიკით.

რაც შეეხება სუბგაუსის ზომების შესწავლას უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში, ეს მიმართულება დაახლოებით 30 წელია რაც ინტენსიურად ვითარდება ევროპის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში. სუბგაუსის ზომები თავისი თვისებებით ძალიან ახლოს დგანან გაუსის ზომებთან, ამიტომ ბუნებრივია სუბგაუსის ზომებისთვისაც მოისინჯოს ყველა იმ პრობლემის სამართლიანობა, რაც გაუსის ზომების წინაშე დგას როგორც სასრულ, ასევე უსასრულოგანზომილებიან შემთხვევებში. სწორედ ასეთი ტიპის ამოცანას წარმოადგენს სუბგაუსის ზომების დახასიათების ამოცანა ზოგად თუ კონკრეტულ უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში, რომელთა შესწავლასაც ვგეგმავთ მომავალი 5 წლის განმავლობაში.

ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების მეცნიერების ავტორობით გამოქვეყნებულია რამდენიმე მონოგრაფია. მათ შორის აღსანიშნავია 1987 წელს ავტორიტეტული ჰოლანდიური გამომცემლობის, **D. Reidel**-ის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია „**Probability Distributions on Banach Spaces**“, ნ. ვახანიას, ვ. ტარიელაძის და ს. ჩოხანიანის ავტორობით. მონოგრაფიას დღეს 1000-ზე მეტი ციტირება აქვს. არაერთ უცხოელ კოლეგას აღუნიშნავს, რომ ეს მონოგრაფია მრავალი მათგანის სამაგიდო წიგნია და ის დღესაც ახალი იდეების შთაგონების წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონოგრაფიის გამოცემიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, შემთხვევითი არ არის, რომ ცნობილმა გამომცემლობა „შპრინგერმა“ მოიპოვა მისი გავრცელების უფლება. ავტორები ვ. ტარიელაძე და ს. ჩოხანიანი გეგმავენ მონოგრაფიის გადამუშავებას და განვრცობილ გამოცემაზე

მუშაობას. პროექტში დაგეგმილია აგრეთვე მონოგრაფიაზე „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრები“ მუშაობის დასრულება (ამოცანა 3.3).

მიმართულება 4

პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ მიმართულებაში დასმული ამოცანების შესწავლა, აგრეთვე შესაბამისი რიცხვითი ალგორითმების აგება და გამოკვლევა. ყველა განსახილველი ამოცანა შეიცავს სამეცნიერო სიახლის ელემენტებს, ხოლო მათი ამოხსნის ალგორითმები პარალელური გამოთვლითი სისტემებისათვის დამატებით კვლევას მოითხოვს. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს პროექტის როგორც წმინდა თეორიული, ასევე პრაქტიკული სამეცნიერო ღირებულება.

3.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები ეტაპების ჩვენებით და მოსალოდნელი შედეგები სათანადო ინდიკატორებით

3.1.1 ამოცანების ჩამონათვალი პერიოდების მითითებით

მიმართულება 1

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო წლების მიხედვით
1	სფეროსათვის დირიხლეს გარე განზოგადებული ჰარმონიული ამოცანის კორექტულობის საკითხის შესწავლა და რიცხვითი ამოხსნა ალბათური ამოხსნის მეთოდით.	1-ლი წელი
2	გაუსის ტიპის კვადრატურული ფორმულების აგება კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალებისათვის. კრებადობის რიგისა და ცდომილების შეფასება.	
3	პოლუსში ჩაკეტილი ფენოვანი სფერული გარსის ზედაპირული ძალების ზეგავლენით გამოწვეული არაწრფივი დეფორმირებულ-დამაბული მდგომარეობის რიცხვითი ანალიზი დაზუსტებული თეორიის ერთი ვარიანტის საფუძველზე.	
4	პროექტის 2.1 პუნქტის 1.4 ამოცანაში განხილული მოდელი 1 და მოდელი 2-ის აგება და გამოკვლევა.	

5	ზოგიერთი არაწესიერი პირამიდული არეებისათვის დირიხლეს განზოგადებული ამოცანის რიცხვითი ამოხსნა ალბათური ამოხსნის მეთოდით.	მე-2 წელი
6	გამოთვლითი ალგორითმების დამუშავება რღვევის გავრცელების მიდამოების მქონე დრეკადი სხეულების საკონტაქტო ამოცანებში	
7	პოლუსში ჩაკეტილი ფენოვანი ნახევარსფეროს არაწრფივი დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის რიცხვითი ანალიზი ზეკრიტიკული ზედაპირული დატვირთვის შემთხვევაში.	
8	პროექტის 2.1 პუნქტის 1.4 ამოცანაში განხილული მოდელი 3-ის აგება და გამოკვლევა.	
9	რამდენიმე ჩაკეტილი ზედაპირით შემოსაზღვრულ არეში ელექტრული და სითბური ველების განსაზღვრა ალბათური ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.	მე-3 წელი
10	ჩებიშევის ფორმულების ანალოგების აგება კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალებისათვის.	
11	მერიდიანის გასწვრივ ცვალებადი სიხისტის მქონე ფენოვანი გოფირებული ცილინდრული გარსის არაწრფივი დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის რიცხვითი ანალიზი.	
12	პროექტის 2.1 პუნქტის 1.4 ამოცანაში განხილული მოდელი 4-ის აგება და გამოკვლევა.	
13	სასრული რაოდენობის სფერული ღრუების მქონე R^3 სივრცისათვის დირიხლეს კლასიკური ჰარმონიული ამოცანის რიცხვითი ამოხსნა ალბათური მეთოდით.	მე-4 წელი
14	მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის ზოგიერთი ამოცანისთვის სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციით დაფუძნებული რიცხვითი აპრიორული ამოხსნის პრობლემატიკის შესწავლა.	
15	მერიდიანის გასწვრივ ცვალებადი სიხისტის მქონე ფენოვანი ელიფსოიდალური გარსის არაწრფივი დეფორმაციის ამოცანის რიცხვითი ანალიზი.	
16	პროექტის 2.1 პუნქტის 1.4 ამოცანაში განხილული მოდელი 5-ის აგება და გამოკვლევა.	

17	ზოგიერთი, უფრო ზოგადი ელიფსური განტოლებისათვის დირიხლეს კლასიკური და განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების ალბათური მეთოდით ამოხსნის შესაძლებლობის გამოკვლევა.	მე-5 წელი
18	რიცხვითი სქემების კონსტრუირება #14 ამოცანით განსაზღვრული პირობების შემთხვევაში	
19	ბრუნვითი გარსების გაანგარიშება დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობისას ტემპერატურული ველის ზეგავლენის შემთხვევაში.	
20	პროექტის 2.1 პუნქტის 1.4 ამოცანაში განხილული მოდელი 6-ის აგება და გამოკვლევა.	

მიმართულება 2

#	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების საგარაუდო დრო წლების მიხედვით
1	უწყვეტ სტრატეგიულ თამაშთა რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების დამუშავება. ამოცანის დასმა უწყვეტ თამაშთა სხვადასხვა კლასებისათვის.	საშუალო
2	მათემატიკური დაპროგრამების მთელირიცხვა პრაქტიკული გამოყენების მქონე ზოგიერთი ამოცანის შესწავლა. ნატურალურ რიცხვთა ნამრავლის მაქსიმუმის პოვნა ამ რიცხვთა მოცემული წრფივი კომბინაციის შემთხვევისათვის.	
3	ჰილბერტის სივრცეებს შორის მოქმედი სინგულარული დაშლის მქონე ოპერატორისათვის ტიხონოვ-ფილიპსის აზრით პირველი გვარის არაკორექტული განტოლების განზოგადებული ამოხსნა ტიხონოვ-ფილიპსის აზრით.	
4	კვანტური მექანიკის ევოლუციური განტოლების შესასწავლად განხილული იქნება ბანახის სივრცეზე C_0 ნახევარჯგუფიდან ასოცირებული ექსტრაპოლაციის სივრცეების აღმავალი უსასრულო ჯაჭვისა და ინტერპოლაციის სივრცეების დაღმავალი ჯაჭვის კონსტრუირებისათვის A^∞ ოპერატორის გამოყენების საკითხი	
5	ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის განიხილება: საწყისი ამოცანა, ზოგადი ინტეგრალის გამოყენებით ამოცანის შესწავლა, გლობალური და ლოკალური ამონახსნის არსებობისა და	

	ერთადერთობის თეორემების დამტკიცება, ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.	
6	პროექციული (რიტცის, გალიორკინის, ან სხვა) მეთოდები მათემატიკური მოდელირების ამოცანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ ან კერძოწარმოებულიან დიფერენციალური განტოლებებთან ან განტოლებათა სისტემებთან.	
18	უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის საკითხები.	მე-2 წელი
19	მათემატიკური დაპროგრამების მთელირიცხვა პრაქტიკული გამოყენების მქონე ზოგიერთი ამოცანის შესწავლა. ნატურალურ რიცხვთა სასრულო სიმრავლის ისეთი ქვესიმრავლის მოძებნა, რომლის ელემენტთა ჯამი მოცემული რიცხვის ტოლია. გამოყენება რესურსთა განაწილების ამოცანებში.	
20	ტიხონოვ-ფილიპსის აზრით პირველი გვარის არაკორექტული განტოლების მიახლოებით ამონახსნთა მიმდევრობის კრებადობის საკითხი .	
21	მრავალგანზომილებიანი კვანტური ოსცილატორისა და შრედინგერის განტოლების კვლევის მიმართულებით აგებული იქნება წრფივი, სპლაინური, ცენტრალური ალგორითმები სასრულო ორბიტების ჰილბერტის სივრცეებში.	
22	განხილული იქნება ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის მახასიათებელი ამოცანის არაწრფივი ვარიანტი. შესწავლილი იქნება: ამოცანის კორექტულობა, გლობალური და ლოკალური ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება; ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.	
23	მათემატიკური მოდელირების ზოგიერთი ამოცანებისათვის ცხადი ან არაცხადი, მათ შორის კრანკ-ნიკოლსონის ტიპის სიმეტრიულ სქემების აგების საკითხი	
29	ა. ვალდის გადამწყვეტ ფუნქციითა სტატისტიკის თეორიის გამოყენება უწყვეტი თამაშების აპროქსიმაციის ამოცანებში.	მე-3 წელი
30	მთელირიცხვა დაპროგრამების ზოგიერთი ამოცანის ოპტიმალური ამონახსნის პოვნის ალგორითმისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.	
31	კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის შესწავლილი იქნება წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმის აგების ამოცანა სასრულო ორბიტების ჰილბერტის სივრცეში საშუალოდ დასმის შემთხვევისათვის.	
32	მრავალგანზომილებიანი კვანტური ოსცილატორისა და შრედინგერის განტოლების კვლევის მიმართულებით აგებული იქნება წრფივი, სპლაინური, ცენტრალური ალგორითმები ყველა ორბიტების ჰილბერტის სივრცეებში.	

39	განიხილება ბორნ-ინფელდის კლასის განტოლებისთვის კომის შებრუნებული ამოცანის არაწრფივი ვარიანტი, შესწავლილი იქნება ამოცანის კორექტულობის პრობლემა, შემუშავდება ამოცანის ამოხსნის მეთოდები.	
40	მათემატიკური მოდელირების ზოგიერთი ამოცანისათვის იტერაციული (პიკარის, ან ნიუტონის, ან სტეფენსონის ან სხვა) მეთოდების გამოყენება.	
41	უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის ამოცანის გადაწყვეტა მოთამაშეთა სტრატეგიათა სიმრავლეების ნამრავლზე სასრულო ბადის აგების საშუალებით. პროცედურების ჩატარება მოგების ფუნქციითა გარკვეული კლასებისათვის.	მე-4 წელი
42	მათემატიკური დაპროგრამების მთელირიცხვა პრაქტიკული გამოყენების მქონე ზოგიერთი ამოცანის შესწავლა. მოცემული მთელი რიცხვითა სიმრავლის და მოცემული რიცხვისათვის მათი მადომინირებული ქვესიმრავლეების რაოდენობის დადგენის ამოცანა.	
43	კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის შესწავლილი იქნება წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმის აგების ამოცანა ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეში საშუალოდ დასმის შემთხვევისათვის	
44	მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის შესაბამისი ორბიტალური ოპერატორების შემცველი განტოლებებისათვის ცენტრალური სპლაინური აგება სასრულო ორბიტების ჰილბერტის სივრცეებში.	
45	დარბუს არაწრფივი ამოცანის შესწავლა განტოლებათა ერთი კლასისათვის. განიხილება ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის დარბუს ამოცანის არაწრფივი ვარიანტი, შესწავლილი იქნება ამოცანის კორექტულობა, გლობალური და ლოკალური ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება; ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა.	
46	სხვაობიანი მეთოდები მათემატიკური მოდელირების ამოცანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ ან კერძოწარმოებულთან დიფერენციალური განტოლებებთან ან განტოლებათა სისტემებთან.	
47	ახალი იტერაციული მეთოდების დამუშავება მატრიცული თამაშებისათვის.	მე-5 წელი
48	მიგრაციული პროცესების სტოქასტური მოდელების დამუშავება.	

49	არაკორექტული ამოცანებისათვის საშუალოდ დასმის აზრით ოპტიმალური, სპლაინური, ცენტრალური ალგორითმის აგება.	
50	მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ოსცილატორის ჰამილტონიანის შესაბამისი ორბიტალური ოპერატორების შემცველი განტოლებები-სათვის ცენტრალური სპლაინური აგება ყველა ორბიტების ფრეშე-ჰილბერტის სივრცეებში.	
51	განხილული ამოცანების (საწყისი, მახასიათებელი, კოშის შებრუნებული და დარბუს) დისკრეტული ანალოგების შესწავლა, რიცხვითი მეთოდის დაფუძნება, გათვლების ჩატარება, მეთოდების ეფექტურობის შემოწმება ტესტურ მაგალითებზე.	
52	ალან-კანის დიფუზიის განტოლებისთვის რიცხვითი ალგორითმის დამუშავება. აგებული ალგორითმების ეფექტურობა შემოწმდება ტესტურ მაგალითებზე.	

მიმართულება 3

#	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო წლების მიხედვით
1	მაქსიმალური უტოლობების ახალი ფორმები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისთვის.	პირველი წელი
2	პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურა მეტრიზებად ვექტორული სივრცეებში	
3	უნივერსალური მწკრივები	
4	ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.	
5	ტრიგონომეტრიული მწკრივები. ულიანოვის ამოცანა	
6	დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის.	
	სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში	
7	გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში	
8	მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“	

9	მონოგრაფია „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“	
10	მაქსიმალური უტოლობების ახალი ფორმები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისთვის.	მე-2 წელი
11	პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურა მეტრიზებად ვექტორული სივრცეებში	
12	უნივერსალური მწკრივები	
13	ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.	
14	ტრიგონომეტრიული მწკრივები. ულიანოვის ამოცანა	
15	დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის.	
16	სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში	
17	გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში	
18	CVS განრიგების თეორიაში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიაში, მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობაში.	
19	მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“	
20	მონოგრაფია „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“	
21	მაქსიმალური უტოლობების ახალი ფორმები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისთვის.	მე-3 წელი
22	პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურა მეტრიზებად ვექტორული სივრცეებში	
23	უნივერსალური მწკრივები	
24	ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.	
25	ტრიგონომეტრიული მწკრივები. ულიანოვის ამოცანა	
26	დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის.	
27	სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში	
28	გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში	
29	CVS განრიგების თეორიაში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიაში, მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობაში.	
30	დიდი მონაცემებისათვის პარალელური გამოთვლების გამოყენება ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ალგორითმში.	

31	მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“	
32	მონოგრაფია „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“	
33	მაქსიმალური უტოლობების ახალი ფორმები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისთვის.	მე-4 წელი
34	პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურა მეტრიზებად ვექტორული სივრცეებში	
35	უნივერსალური მწკრივები	
36	ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.	
37	ტრიგონომეტრიული მწკრივები. ულიანოვის ამოცანა	
38	დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის.	
39	სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში	
40	გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში	
41	CVS განრიგების თეორიაში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიაში, მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობაში.	
42	დიდი მონაცემებისათვის პარალელური გამოთვლების გამოყენება ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ალგორითმში.	
43	მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“	
44	მონოგრაფია „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“	
45	მაქსიმალური უტოლობების ახალი ფორმები ფუნქციონალური შესაკრებების გადანაცვლებებისთვის.	მე-5 წელი
46	პირობითად კრებადი მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურა მეტრიზებად ვექტორული სივრცეებში	
47	უნივერსალური მწკრივები	
48	ორთოგონალური მწკრივები. კოლმოგოროვის ამოცანა და გარსიას ჰიპოთეზა.	
49	ტრიგონომეტრიული მწკრივები. ულიანოვის ამოცანა	

50	დიდ რიცხვთა კანონი სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისთვის.	
51	სუბგაუსის ზომების დახასიათება ბანახის სივრცეებში	
52	გადანაცვლებები შემთხვევითი პროცესების სტატისტიკაში	
53	CVS განრიგების თეორიაში, განსხვავებათა (discrepancy) თეორიაში, მანქანურ სწავლებასა და სახეთა ამოცნობაში.	
54	დიდი მონაცემებისათვის პარალელური გამოთვლების გამოყენება ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ალგორითმში.	
55	მონოგრაფია „ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში“	
56	მონოგრაფია „მეტრიკული მონოიდები და ინტეგრება“	

მიმართულება 4

№	ამოცანის დასახელება	ამოცანის შესრულების სავარაუდო დრო წლების მიხედვით
1	რთული დინამიკური სისტემების (მარკოვის სისტემა), ფუნქციონირებასთან ასოცირებული მარკოვის ჯაჭვებში მდგომარეობათა ფაზური სივრცის განზომილების რედუქცია.	1-ლი წელი
2	მრავლობითი ჰიპოთეზების უნივერსალური წარმოდგენა მათი სიმრავლეების გაერთიანება-გადაკვეთის ან გადაკვეთა-გაერთიანების სახით.	
3	არსებულ პროგნოზირების მოდელებთან შედარებით ახალი მოდელის უპირატესობის დასაბუთება. შეიქმნება თეორიული დასაბუთება იმის, რომ ყოველთვის მოიძებნება პროგნოზირების მოდელებიდან ისეთი მოდელები, რომელთა პროგნოზების თანაკვეთა არანაკლებ ალბათურია, ვიდრე ერთით ნაკლები მოდელების საუკეთესო პროგნოზების თანაკვეთის ალბათობა. მაგალითად, პროგნოზირების მოდელებიდან ყოველთვის მოიძებნება ისეთი წყვილი, რომელთა პროგნოზების თანაკვეთა არაა უარესი, ვიდრე ერთი ყველაზე უკეთესი პროგნოზირების მოდელის გამართლების ალბათობა.	

4	პროცესორის ბირთვების, როგორც მრავალფუნქციური ელემენტების საიმედოობისა და მტყუნებამდგრადობის შეფასების მოდელების შემუშავება.	
5	სისტემური რისკების შემცირების მიზნით, არამკაფიო ლოგიკის საფუძველზე, საქმიანი გარემოს ინფორმაციული მოდელის შემუშავება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი საექსპერტო სისტემისთვის.	
6	განხილული იქნება არალოკალური საკონტაქტო ამოცანა ჰიპერბოლური ტიპის მუდმივ კოეფიციენტებიანი განტოლებებისათვის. დადგენილი იქნება ამოცანის ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა.	
7	მდგომარეობათა ზუსტი და ასიმპტოტური აგრეირების მეთოდები მარკოვის ჯაჭვებში.	მე-2 წელი
8	გაერთიანება-გადაკვეთის ან გადაკვეთა-გაერთიანების ჰიპოთეზების შემოწმების მეთოდების დამუშავება და რეალიზაცია.	
9	მცირე რაოდენობის ბირთვიანი კომპიუტერისათვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. შეიქმნება პროგრამის კოდი, რომელიც განახორციელებს პირველ ეტაპზე მიღებულ შედეგებს. ამისათვის მოპოვებული იქნება არსებული მოვლენებისათვის პროგნოზების სიმრავლე, ან მოხდება სიმულაცია კოდის გამართვისათვის, საშუალო რაოდენობის პროგნოზირების მოდელებისათვის მცირე რაოდენობის (წლების მიხედვით) მონაცემების გამოყენებით.	
10	მრავალფუნქციური ბირთვების ბაზაზე დაკომპლექტებული მრავალბირთვიანი პროცესორების წარმატებული ფუნქციონირების უმოკლესი გზების, მოქნილობისა და მუშაობისუნარიანობის პირობების ლოგიკურ-ალბათური მოდელების შემუშავება.	
11	არქიტექტურული ჩარჩოს შემუშავება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი საექსპერტო სისტემისთვის.	
12	განხილული იქნება m-წერტილიანი არალოკალური სასაზღვრო ამოცანა სიბრტყეზე პირველი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის და შესაბამისი ოპტიმალური მართვის ამოცანა. დადგენილი იქნება ოპტიმალური მართვის ამოცანის არსებობისა და ერთადერთობის პირობები. დამტკიცდება შეუღლებული ამოცანის განზოგადოებული ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა.	

13	მდგომარეობათა აგრეგირება და იდენტიფიცირება აგრეგირებული ჯაჭვის მიხედვით.	მე-3 წელი
14	მრავლობითი ჰიპოთეზების შემოწმება წყვილ-წყვილად და მისი გამოყენება დიდი მონაცემებისათვის; ჰიპოთეზების შემოწმება შემთხვევითი სიდიდეების დამოკიდებულების შესახებ.	
15	სუპერკომპიუტერისათვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა პარალელური პროგრამირების გამოყენებით. მოხდება მეორე ეტაპზე შექმნილი პროგრამის მოდიფიცირება დიდი რაოდენობის ბირთვების მქონე კომპიუტერებისათვის: ძლიერი სერვერების, ან სუპერკომპიუტერებისათვის. ამისათვის პროგრამის კოდში მოხდება ალგორითმების განვითარება პარალელური პროგრამირების არსებული ალგორითმებით, ან ახალი ალგორითმებით, რომელიც დიდი რაოდენობის პროგნოზირების მოდელებისათვის დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავების საშუალებას მოგვცემს.	
16	მრავალბირთვიანი პროცესორების საიმედოობის, მტყუნებამდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მოდელების შემუშავება მუშაობისუნარიანობის ყველა შესაძლო მდგომარეობების გათვალისწინებით.	
17	სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი საექსპერტო სისტემის რეალიზაცია (სერვერული პროგრამული უზრუნველყოფა).	
18	შემუშავდება რიცხვითი ამოხსნის ალგორითმები დასმული ოპტიმალური მართვის ამოცანისათვის.	
19	აგრეგირებული ჯაჭვების მარკოვისებურობის დადგენა და მდგომარეობათა გამსხვილება.	მე-4 წელი
20	განაწილების კანონების პარამეტრების შეფასების ახალი, საიმედო მეთოდების დამუშავება.	
21	პროგნოზირების გამოყენებითი ამოცანებისათვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმება. მოხდება მესამე ეტაპზე შექმნილი კოდის გასინჯვა-გამართვა სხვადასვა ტიპის მოვლენებისათვის არსებული პროგნოზირების მოდელებისათვის და მონაცემებისათვის. მოსალოდნელია გათვალისწინებულ იქნას მოვლენების თავისებურებანი. მაგალითად, იქნება განსხვავება ეკონომიკურ-ფინანსურ-ბიზნეს პროგნოზირების მოდელებისა (დინამიურ მოდელები) და ბუნების კატაკლიზმების პროგნოზირების მოდელებს (სტატიკური მოდელები) შორის.	

22	ორბირთვიანი და ოთხბირთვიანი პროცესორების სტრუქტურული ანალიზის ჩატარდება და მრავალბირთვიანი პროცესორების ეფექტიანობის მაჩვენებლების ამაღლების ტენდენციების ანალიზი.	
23	სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი საექსპერტო სისტემის რეალიზაცია (კლიენტური ნაწილის პროგრამული უზრუნველყოფა).	
24	აგებული და შესწავლილი იქნება ფაქტორიზებული სხვაობიანი სქემა ორგანოზომილებიანი ცვალებადკოეფიციენტებიანი ჰიპერბოლური ტიპის კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის. დამტკიცებული იქნება სხვაობიანი სქემის კრებადობა. შემუშავებული იქნება სხვაობიანი სქემის ამოხსნის რიცხვითი ალგორითმი, რომლის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება პარალელური თვლის სისტემებზე.	
25	კოჰერენტობის თვისება და მისი კავშირი მდგომარეობათა აგრეგირებასთან მარკოვის ჯაჭვებში.	მე-5 წელი
26	დამუშავებული მეთოდების ალგორითმიზაცია და პროგრამული რეალიზაცია საკონტროლო მაგალითების გამოთვლით. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და დასკვნების გაკეთება.	
27	ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდოლოგიით მომუშავე უნივერსალური პროგნოზირების საიტის შექმნა. მოხდება ჩვენს მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფისათვის სპეციალური ღია პროგნოზირების საიტის შექმნა ძლიერ სერვერზე (ან სუპერკომპიუტერზე), რომელიც სხვადასხვა ტიპის მოვლენებისათვის საიტის მომხმარებლისთვის გამოითვლის საჭირო პროგნოზს, დაიმატებს მოცემული მოვლენებისათვის ახალ პროგნოზირების მოდელს, შეიტანს ცვლილებებს პროგნოზირების საუკეთესო სიმრავლიდან საუკეთესო ქვესიმრავლის გამოყენებისათვის, მუდმივად განაახლებს არსებული პროგნოზირების მოდელების მონაცემებს და ა.შ.	
28	დამუშავებული მეთოდების ალგორითმიზაცია და პროგრამული რეალიზაცია. შესაბამისი პროგრამული პაკეტის შექმნაზე მუშობა.	
29	სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდამჭერი საექსპერტო სისტემის დანერგვა ტესირების რეჟიმში.	
30	დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანისათვის აგებული და შესწავლილი იქნება ფაქტორიზებული სხვაობიანი სქემა. შემუშავებული იქნება სხვაობიანი სქემის ამოხსნის რიცხვითი ალგორითმი, რომლის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება პარალელური თვლის სისტემებზე.	

3.1.2 პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები/ თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

მიმართულება 1

№	შუალედური შედეგები / თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	
1	გამოკვლეული იქნება 3.1.1 პუნქტის #1 ამოცანის კორექტულობის საკითხი, აიგება გამოთვლითი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	პირველი წელი
2	აიგება კვადრატურული ფორმულები 3.1.1 პუნქტის #2 ამოცანისთვის / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
3	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #3 ამოცანა. აიგება შესაბამისი სათვლელი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
4	განხორციელდება მარკოვული მოდელების აგებისა და გამოკვლევის დემონსტრირება. აიგება და გამოკვლეული იქნება მოდელი 1 და მოდელი 2 / მომზადდება 2 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი.	
5	გამოკვლეული იქნება 3.1.1 პუნქტის #5 ამოცანის კორექტულობის საკითხი, აიგება გამოთვლითი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	მე-2 წელი
6	დამუშავდება გამოთვლითი ალგორითმი 3.1.1 პუნქტის #6 ამოცანისთვის / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
7	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #7 ამოცანა. აიგება შესაბამისი სათვლელი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	

8	აიგება და გამოკვლეული იქნება მოდელი 3 / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება.	
9	გამოკვლეული იქნება 3.1.1 პუნქტის #1 ამოცანის კორექტულობის საკითხი, აიგება გამოთვლითი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	მე-3 წელი
10	აიგება კვადრატურული ფორმულები 3.1.1 პუნქტის #10 ამოცანისთვის / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
11	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #3 ამოცანა. აიგება შესაბამისი სათვლელი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
12	განხორციელდება ნახევრად მარკოვული მოდელების აგებისა და გამოკვლევის დემონსტრირება. აიგება და გამოკვლეული იქნება მოდელი 4 / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება და 1 სამეცნიერო ნაშრომი.	
13	გამოკვლეული იქნება 3.1.1 პუნქტის #13 ამოცანის კორექტულობის საკითხი, აიგება გამოთვლითი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	მე-4 წელი
14	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #14 ამოცანა / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი.	
15	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #15 ამოცანა. აიგება შესაბამისი სათვლელი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
16	აიგება და გამოკვლეული იქნება მოდელი 5 / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება.	

17	გამოკვლეული იქნება 3.1.1 პუნქტის #17 ამოცანის კორექტულობის საკითხი, აიგება გამოთვლითი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	მე-5 წელი
18	აიგება რიცხვითი სქემები 3.1.1 პუნქტის #14 ამოცანით განსაზღვრული პირობების შემთხვევაში	
19	შესწავლილი იქნება 3.1.1 პუნქტის #19 ამოცანა. აიგება შესაბამისი სათვლელი ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი, 1 სათვლელი პროგრამა.	
20	აიგება და გამოკვლეული იქნება მოდელი 6 / მომზადდება 1 სამეცნიერო მოხსენება, 1 სამეცნიერო ნაშრომი.	

მიმართულება 2

№	შუალედური შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	
1	უწყვეტ სტრატეგიულ თამაშთა რიცხვითი ამოხსნის ალგორითმების დამუშავება. ამოცანის დასმა უწყვეტ თამაშთა სხვადასხვა კლასებისათვის. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი.	პირველი წელი
2	მათემატიკური დაპროგრამების მთელრიცხვა პრაქტიკული გამოყენების მქონე ზოგიერთი ამოცანის შესწავლა. ნატურალურ რიცხვთა ნამრავლის მაქსიმუმის პოვნა ამ რიცხვთა მოცემული წრფივი კომბინაციის შემთხვევისათვის. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი, 1 სამეცნიერო სტატია.	
3	ჰილბერტის სივრცეებს შორის მოქმედი სინგულარული დაშლის მქონე ოპერატორისათვის ტიხონოვ-ფილიპსის აზრით პირველი გვარის არაკორექტული განტოლების განზოგადებული ამოხსნა ტიხონოვ-ფილიპსის აზრით. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი, 1 სამეცნიერო სტატია.	
4	კვანტური მექანიკის ევოლუციური განტოლების შესასწავლად განხილული იქნება ბანახის სივრცეზე C_0 ნახევარჯგუფიდან ასოცირებული ექსტრაპოლაციის სივრცეების აღმავალი უსასრულო ჯაჭვისა და ინტერპოლაციის სივრცეების დაღმავალი ჯაჭვის კონსტრუირებისათვის A^∞ ოპერატორის გამოყენების საკითხი /	

	მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი, 1 სამეცნიერო სტატია.	
5	ეილერ-დარბუს კლასის განტოლებისთვის განიხილება: საწყისი ამოცანა, ზოგადი ინტეგრალის გამოყენებით ამოცანის შესწავლა, გლობალური და ლოკალური ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემების დამტკიცება, ამონახსნის განსაზღვრის არეების სტრუქტურის გამოკვლევა. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი, 1 სამეცნიერო სტატია.	
6	პროექციული (რიტცის, გალიორკინის ან სხვა) და სხვაობიანი მეთოდები მათემატიკური მოდელირების ამოცანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ ან კერძოწარმოებულიან დიფერენციალური განტოლებებთან ან განტოლებათა სისტემებთან. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი.	
19	უწყვეტი თამაშების მატრიცული თამაშებით აპროქსიმაციის საკითხები. / მოხსენებები განყოფილების სემინარზე. მომზადდება 1 საკონფერენციო თეზისი, 1 სამეცნიერო სტატია.	
